ПРОЛЕТАРИЕБО ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 153 (26494) — სამშაბათი, 4 ·ივლისი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

30 ივნისს მოსკოვში გრძელდებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია.

მ. ს. გორბაჩოვი: ვფიქრობ, დისკუსია სასარგებლო, სერიოზული და საჭიროა. შესარბილებელი არაფერი გვაქვს, სათქმელი უნდა ითქვას. ჩვენი ამ პოლიტიკის მიზანმიმართულობა ნამდვილად იმსახურებს საფუძვლიან შესწავლას და საფუძვლიან გარდაქმნას და ყველა შენიშვნა, თუნდაც ემოციური ფორმით გამოთქმული, სწორია.

ოღონდ ვერ დავეთანხმები ამხანაგებს, რომლებიც საეჭვოს ხდიან მთელ ჩვენს მუშაობას მთავრობის ფორმირებისათვის. ჩვენ შევთანხმდით, რომ გულახდილნი ვიქნებოდით. ჩვენ ყველანი ერთ უღელს ვეწვეთ. მაგრამ ეს სულაც არ აქარწყლებს იმ დისკუსიის საფუძველიანობას, შინაარსსა და მნიშვნელობას, ამხანაგ კამენცევის კანდიდატურის განხილვის დროს რომ გაიმართა.

რამდენადაც სხდომას ვერ დაესწრო ბევრი დეპუტატი, რომლებიც სხვა რამით იყვნენ დასაქმებული, მიზანშეწონილად მიმაჩნია ვ. მ. კამენცევის დამტკიცების საკითხის საბოლოო გადაწყვეტას მოგვიანებით დაუბრუნდნენ.

შესვენების შემდეგ თავმჯდომარეობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. ლუკიანოვი.

შემოაქვთ წინადადება დაინიშნოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ ნ. პ. ლავეროვი.

უპასუხა რა დეპუტატთა კითხვებს, **ნ. პ. ლავეროვმა** დამსწრეთ გაუზიარა თავისი მოსაზრებანი საბჭოთა მეცნიერების შემდგომი განვითარების, ქვეყანაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების გზების შესახებ, ამასთან აღნიშნა, რომ უფრო სრული, ვრცელი პროგრამით სულ ცოტა ხანში წარსდგება დეპუტატთა წინაშე, თუ მას დანიშნავენ.

ნ. პ. ლავეროვმა გამოთქვა რწმენა, რომ ადამიანი, მისი საზრუნავი ყოველგვარ მეცნიერულ კვლევაში უპირველეს ადგილზე უნდა იყოს. მან თქვა, რომ დღეს საჭიროა ისეთი მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა უფრო სწრაფად დავძლიოთ საკვლევ მუშაობაში არსებული ჩამორჩენა, გავიყვანოთ იგი თანამედროვე დონეზე, რომელსაც მსოფლიოს წამყვანნი ქვეყნებმა მიაღწიეს.

მთავარი, მისი აზრით, ის არის, რომ სწორედ შევარჩიოთ პრიორიტეტული მიმართულებანი, შევიმუშაოთ ისეთი პროგრამები, რომლებიც საშუალებას მისცემს საბჭოთა მეცნიერებას და ტექნიკას მექანიკურად კი არ იმეორებდეს საზღვარგარეთის მიღწევებს, არამედ ფუნდამენტური კვლევისა და ნამუშევრების გამოყენების გზით მიაღწიოს ენერგიულ დაწინაურებას ბევრ დარგში. ამასთან დაკავშირებით პრეტენდენტმა საჭიროდ ცნო გამოიყენონ კრედიტები, რომლებიც სტიმულს მინიჭებენ მეცნიერულ-ტექნიკურ ნამუშევრებს, მათ შორის, სხვა ქვეყნების მეცნიერებთან ერთად. მას იზიდავს იდეა შეიქმნას საერთაშორისო სამეცნიერო ფონდი, რომელიც გააძლიერებს მკვლევართა, მათ შორის, პერიფერიულ უმაღლეს სასწავლებლებში მომუშავე მკვლევართა აქტიურობას.

ამასთან ორატორს შესაძლებლად მიაჩნია ენერგიულად გამოვიყენოთ საკონკურსო შერჩევა. კითხვაზე, თუ როდის შევძლებთ დაეწიოთ ტექნიკითა და ტექნოლოგიით მოწინავე ქვეყნებს, კერძოდ, იაპონიას, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, კანადატმა უპასუხა, რომ მთელი რიგი მიმართულებებით სსრ კავშირს წამყვანი ადგილი უკავია მსოფლიოში, მაგრამ ძირეულ გარდატეხას მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, როდესაც მთლიანად ავამოქმედებთ ყველა რეზერვს, გამოვიყენებთ ყველა სტიმულს. დღესდღეობით კი, აღიარა ორატორმა, შეინიშნება ზოგ ელემენტში ეკონომიკის სფეროებს — ინოვაციურ პროგრამებს — ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრამებს — ეკონომიკის ფრონტია, სადაც ჯეროვრობით უდიდესი მარცხი განვიცადეთ. მაგალითად, აზოვის ზღვისა და ბაიკალის გამო დიდი ხანია არსებობს მათი გადარჩენის მათემატიკური მოდელები, რატომ არ არის ასეთი რამ დღემდე არალთან დაკავშირებით? ამის შედეგად არალის თაობაზე ნაჩქარევი გადაწყვეტილებანი მიიღეს. ეს კი იგივეა, უნახაზოდ შეუდგე უზარმაზარი ქარხნის მშენებლობას. დეპუტატმა მხარი დაუჭირა ნ. პ. ლავეროვის კანდიდატურას და მოუწოდა გაითვალისწინოს თავის მომავალ საქმიანობაში გამოთქმული შენიშვნები.

ხმების უმრავლესობით ნ. პ. ლავეროვი დაინიშნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

შემდეგ **ა. ი. ლუკიანოვმა** შეკრებილთა აცნობა, რომ წამოიჭრა მიმდინარე საკითხები, რომლებიც უნდა განიხილონ.

სსრ კავშირის კონსტიტუციის შეცვლამდე, თქვა მან, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის წარდგენების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ზოგჯერ ნებას რთავდა მას გამონაკლისის სახით გაუხანგრძლივებინა იმ ცალკეულ პირთა სასამართლოში ყოფნის ვადა, რომლებსაც ბრალად ედებოდათ მძიმე დანაშაულობათა ჩადენა, როდესაც გადიოდა კანონით გათვალისწინებული ცხრა თვის ვადა და გამოძიება არ იყო დამთავრებული. ეს შემთხვევები ეხებოდა ყველაზე რთულ ჯგუფურ საქმეებს განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცების, ქრთამის აღების, თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედების გამო.

ახლა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კომპეტენცია შეიცვალა. მაგრამ ასეთი საკითხები ახლაც დგება. გენერალურმა პროკურორმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ უმაღლეს საბჭოს სთხოვეს მიანიჭოს სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს დროებითი უფლებამოსილება გაუხანგრძლივოს სამართალწინა ყოფნის ვადა განსასჯელთა ზოგიერთი საქმის გამო. საქმე ეხება ცალკეულ რთულ საქმეებს.

შემდეგ ლუკიანოვმა თქვა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტმა განიხილა ა. ი. სუხარევის, ვ. ვ. ბაკატინის და ვ. ა. კრიუჩკოვის წარდგენება.

ინფორმაციით გამოვიდა კომიტეტის თავმჯდომარე ს. ს. ალექსეევი, რომელმაც უპასუხა დეპუტატთა კითხვებს.

განხილულნი მონაწილეობდნენ **თ. ბ. ბორლაკაკი, ბ. ა. ბოჩაროვი, რ. ა. მედვედევი, ვ. ი. ვოსკობოინიკოვი, ი. ვ. გოლიკი, ს. ა. ციპლიაევი** და სხვები.

სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა **ა. ი. სუხარევმა** დაახასიათა საქმეები, რომლებსაც უნდა გაუხანგრძლივდეთ გამოძიების ვადა. საჭიროა შემუშავდეს კარგი კანონი, რომელიც დღეგადღეობით არ გვაქვს, ვინაიდან ასეთი შემთხვევები შეიძლება მომავალშიც იყოს, ხაზგასმით აღნიშნა დეპუტატმა.

მიიღეს გადაწყვეტილება ცამეტი საქმის გამოძიების ვადის ერთჯერადი გახანგრძლივების შესახებ.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე მიმდინარე ცხოვრების სხვა საკითხები.

3 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია მუშაობას განაგრძობდა.

• • •

ნაშუადღევს გაიმართა უმაღლესი საბჭოს კომიტეტებისა და კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს კომისიების სხდომები. იმსჯელეს საკითხებზე, რომლებიც მათი შემდგომი საქმიანობის გეგმებთან და ორგანიზაციასთან არის დაკავშირებული. (ТАСС).

დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 152.

თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 30 ივნისს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელზეც განიხილეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის შენახვის, გადამუშავების ბაზისა და სასურსათო მანქანათმშენებლობის განვითარებისათვის, თანამედროვე კვების ინდუსტრიის შექმნისათვის პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობა.

თათბირი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ **მ. ს. გორბაჩოვმა,** რომელმაც თქვა:

ჩვენ დიდი ხანია დაგეგმილი გვქონდა ეს თათბირი და მივიჩნევთ მას მნიშვნელოვან ეტაპად სოფლის მეურნეობის პროდუქციის შენახვის, გადამუშავების ბაზისა და სასურსათო მანქანათმშენებლობის განვითარების საკითხებზე მიღებული უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების რეალიზაციისათვის დიდი მუშაობის განხორციელებაში.

ამ ამოცანას მივიჩნევთ ერთერთ უპირველესად, გადაუდებლად, რადგან უკვე ახლა იმას, რაც ქვეყანაში მოჰყავს აგრარულ სექტორს, სათანადო შენახვისა და ტრანსპორტირების, გულდასმითი გადამუშავების დროს შეუძლია დიდი მოცულობითი და უკეთესი ხარისხით უზრუნველყოს ადამიანთა მოთხოვნილებანი. რაღაც უაზრობაა, თუ ჩვენ კვლავაც ვიმუშავებთ მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის საკითხებზე და არ ვიფიქრებთ, არ ვიზრუნებთ მთელი ამ პროდუქტების რაციონალური გამოყენებისათვის.

ამოცანები მასშტაბურია. ჩვენ მათ გადაწყვეტაში ჩავრთეთ ბევრი დარგი, მათ შორის თავდაცვითი დარგები. თქვენ ეს იცით, და ახლა იქნება მოხსენება ამ საკითხზე. ვფიქრობ, აქ უნდა გაიმართოს საგნობრივი, კონკრეტული სკკ-ბაასი ამ თემებზე, ერთად უნდა განვიხილოთ, თუ როგორ მიდის საქმე. ამ მიმართულებით ვერ დავუშვებთ სისუსტეს, არაორგანიზებულობასა და უპასუხისმგებლობას. ჩვენი თათბირის ამოცანაა განვიხილოთ ყველა პრაქტიკული საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია ამ პრობლემის გამო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებულთა გადაწყვეტილებათა შესრულებასთან.

მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ი. კ. ლიგაჩოვმა.** გვინდა, თქვა მან, განვიხილოთ საკითხები პოლიტიკური თვალსაზრისით, ქვეყანაში უახლოეს წლებში თანამედროვე სასურსათო ინდუსტრიის შექმნის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის სამინისტროებისა და უწყებების, რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების, ქალაქების, საწარმოების კომუნისტი ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის თვალსაზრისით. სასურსათო და სხვა საარსებო მნიშვნელობის პრობლემების გადაწყვეტის მეშვეობით პარტიას შეუძლია გაზარდოს თავისი ავტორიტეტი საზოგადოებაში. ეს საკითხის ერთი მხარეა.

მეორე ის არის, რომ აგრომრეწვის მართვის ორგანოები ცენტრშიც და ადგილებზეც ახლა ძირეული რეორგანიზაციის პროცესში არიან, საბჭოს კი ჯერ არ მიუღიათ საჭირო უფლებები და რესურსები. უნდა განვამტკიცოთ ისინი პარტიული გავლენის ძალით.

ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის მარტის პლენუმმა დაამტკიცა აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების სოციალისტური გზა, შეიმუშავა პარტიის აგრარული პოლიტიკა თანამედროვე პირობებში.

ამ პოლიტიკის რეალიზაცია მარტივ პირობებში როდი მიმდინარეობს. ერთი მხრივ, მოქმედებს ხელშემწყობი ფაქტორები. უწინარეს ყოვლისა ის გარემოება, რომ აგრარული პოლიტიკის განხორციელება მიმდინარეობს გარდაქმნის პერიოდში, როცა სახალხო მეურნეობა უნდა აკიდეს ახალ თვისებრივ დონეზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ისეთი ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარება, როგორც ჩვენია, ბევრად არის დამოკიდებული მთელი ეკონომიკის პოტენციალზე.

საჭიროა აგრეთვე, რომ საზოგადოებაში შეიქმნას აზრი სასურსათო საკითხის გადაწყვეტისათვის პრიორიტეტული ხასიათის მნიშვნელობის შესახებ. ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად გაისმა აგრარიკოს დეპუტატთა მიმართვა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისადმი.

აგრარული პოლიტიკის რეალიზაციას, უდავოა, ხელს შეუწყობს სამხედრო ხარჯების შემცირება, აგროსამრეწველო კომპლექსის პრობლემებში თავდაცვით-სამრეწველო კომპლექსის მასშტაბური ჩართვა, აგრეთვე ქვეყნის ქალაქების საწარმოო და ინტელექტუალური პოტენციალი.

მაგრამ მოქმედებენ ფაქტორებიც, რომლებიც ართულებენ აგრარული პოლიტიკის განხორციელებას. ჯერ ერთი, ფულის მასის დაუოკებელი ზრდა საქონლისა და მომსახურების მწვავე დეფიციტის დროს ბევრად ზრდის მოსახლეობის მოთხოვნას მრავალფეროვან სასურსათო პროდუქტებზე, აძლიერებს ზეგავლენას სასურსათო დახლებზე, იზრდება წახალიმდგომბანი ეკონომიკაში. მეორე, მომავალ მეცამეტე ხუთწლეულში გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობისა და კაპიტალური დაბანდებების ზრდის ისეთი პროპორციები, რომლებიც არც ერთ ხუთწლედში ჯერჯერობით არა ყოფილა. თავად განსაჯეთ. მეცამეტე ხუთწლედში სასურსათო საქონლის წარმოება უნდა გაიზარდოს 26-30 პროცენტით, კაპიტალდაბანდებების საერთო მოცულობა კი აგროსამრეწველო კომპლექსში გათვალისწინებულია გაიზარდოს მხოლოდ 19 პროცენტით.

ქვეყანაში სასურსათო მომარაგების პრობლემის შემსუბუქება. შემდეგ კი მისი სიმწვავის მოხსნა, თანაც მოკლე ვადებში, შეიძლება მხოლოდ მთელი რესურსების ამოქმედების და უწინარეს ყოვლისა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, შენახვის, გადამუშავების, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის პროცესში მისი დანაკარგების არსებითი შემცირების გზით. აქ არის, თქვა ი. კ. ლიგაჩოვმა, განსახილველი საკითხის საფუძველი.

ამავე დროს ქვეყანაში ამ საკითხებს მრავალი წლის განმავლობაში ჯეროვნად არ აფასებდნენ, თითქოსდა გვერდს უვლიდნენ. ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში მთელ ყურადღებას მივაპყრობდით მხოლოდ ერთს: მოგვეწია მარცვლეულს, ბოსტნეულს მოსავალი, მიგვეღო მეტი რძე, ხორცი. შემდეგ კი ამ დოვლათის დანაკარგები დაახლოებით 20 პროცენტს, ზოგჯერ კი მეტსაც აღწევდა. სპეციალისტთა გამოანგარიშებით, ხორცის გადამუშავების სიმძლავრეთა უკმარისობის, მაცივრების ნაკლებობის გამო ქვეყანაში იკარგება დაახლოებით მილიონი ტონა ხორცი. აბა წარმოიდგინეთ, ხორცი გვაკლია, ქვეყანა კი მთელ მილიონ ტონას კარგავს!

როგორც სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე წარმოთქმულ საბოლოო სიტყვაში აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდისათვის ყოველგვარი მეცადინეობა უბრალოდ აზრს კარგავს, თუ არ გადაწყდება შენახვისა და გადამუშავების ბაზის დაჩქარებული განვითარების საკითხები.

ამ ახალი მიდგომების დაუფლებაში აგრარული პოლიტიკის დარგში ჩვენ საკმაოდ შევფიქრდით.

გადამმუშავებელი მრეწველობის მდგომარეობა, მისი ღრმა ჩამორჩენა განსაკუთრებით ნათლად მოწმობენ, დისპროპორციების რა მკაცრ მარწუხებშია მოქცეული ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსი. სოფლად ძირითადი საწარმოო ფონდების მატების ტემპი ერთნახევარჯერ მეტია, ვიდრე გადამმუშავებელ დარგებში. კვების ბევრი წარმოება ქვეყანაში კრიზისულ მდგომარეობამდეა მისული. მაგალითად, ძეხვეულის წარმოების საწარმოთა დაახლოებით 40 პროცენტი ავარიულ მდგომარეობაშია. ტექნოლოგიური ზოწყობილობის ორი მესამედი მორალურად მოძველდა, ფიზიკურად გაცვდა და უნდა შეიცვალოს.

გადამუშავების, შენახვისა და რეალიზაციის სამამულო ბაზის განუვითარებლობას მოწმობს ის ფაქტი, რომ, მაგალითად, საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში აგროსამრეწველო წარმოების ამ სფეროს წილი შეადგენს აგროსამრეწველო კომპლექსის საბოლოო პროდუქტის ღირებულებაში 70-80 პროცენტს, ჩვენში — 40 პროცენტზე ნაკლებს. განსხვავება პრინციპულია და აშკარად ჩვენს სასარგებლოდ არ მეტყველებს.

ვიმეორებ, და ხაზგასმით აღვნიშნავ: ეს შესაძლებელი იყო, ჩაივლიდა ხოლმე წარსულში, როცა აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაობის ეფექტიანობა ფასდებოდა არა სასურსათო პროდუქტების არსებობით მაღაზიებში, ესე იგი არარაციონალური ზრუნვით ადამიანებისათვის, არამედ განსაზღვრებოდა მთლიანი მოსავლის მატების, პირუტყვის სულადობის ზრდის პროცენტებით და ა. შ. ახლა ასე მუშაობა შეუძლებელია.

მიმდინარე ხუთწლედში დასახულია ამ სფეროს პრიორიტეტული განვითარების გეგმა. შეტანილია კორექტივები საინვესტიციო პოლიტიკაში, კაპიტალურ დაბანდებათა სტრუქტურაში მთელი ხუთწლედისა და შემდგომი პერიოდისათვის. 1988-95 წლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის შენახვისა და გადამუშავების ბაზის განვითარების მოსწარდება მნიშვნელოვანი სახსრები— 77 მილიარდი მანეთი.

მოხსენებაში გაანალიზდა, თუ რა გაკეთდა დასახული პროგრამის განსახორციელებლად. 1988 წელს 1985 წელთან შედარებით აგროსამრეწველო კომპლექსის ქვების და გადამუშავებელ დარგებში სასაქონლო პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 21 მილიარდი მანეთით, ანუ თითქმის 15 პროცენტით, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის.

ბევრი რამ კეთდება ამ მიმართულებით ბელგოროდის ოლქში, გააქტიურდა მუშაობა ბრიანსკის ოლქში. კვების ინდუსტრიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ბაკირეთის ასსრ, სტავროპოლის მხარის, ბრესტის, ლიპეცკის, ომსკის, ორიოლის, სარატოვის ოლქების, ლიტვისა და საქართველოს მოკავშირე რესპუბლიკების პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს.

ამრიგად, არის გარკვეული უეთესობა დასახული ამოცანის გადაწყვეტაში. და მაინც, სერიოზულ შეშფოთებას იწვევს პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობა. ბევრგან სიტყვით პრიორიტეტია, საქმით კი ჩავარდნა, უძრაობა. კაცმა რომ თქვას, სწორედ ამით არის გამოწვეული თათბირის გამართვის საჭიროება.

შეეხო რა კაპიტალური მშენებლობის შედეგებს, მოახსენებელმა აღნიშნა, რომ ხუთწლედის პირველი სამი წლის განმავლობაში კვების ინდუსტრიის ობიექტებში ათვისებული არ არის 1,5 მილიარდი მანეთი კაპიტალდაბანდება. სერიოზული ჩამორჩენა დაუშვეს ჩიტის, ჩერნოვცის, ურალის ოლქებში, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ რესპუბლიკაში, უზბეკეთის და ყირგიზეთის მოკავშირე რესპუბლიკებში. განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაა მოლდავეთის სსრ რესპუბლიკაში.

უნდა ითქვას, რომ თავიანთი დამოკიდებულებაა დაცვა-შენახვისა და გადამუშავების ობიექტების მშენებლობისადმი მთლიანად არ შეუცვლიათ არც სამშენებლო სამინისტროებს, კერძოდ, სსრ კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის ნავთობისა და გაზის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის ჩრდილოეთ და დასავლეთ რაიონებში მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის სამხრეთ რაიონებში მშენებლობის სამინისტროს. ნიადაგ ურიგდებიან ჩამორჩენას რუსეთის სფსრ აგროსამრეწველო კომიტეტების სამშენებლო ქვეგანყოფები. მაგალითად, მეთექვსმეტე წელია მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები კრასნოდარის მხარის კრიმსკის საკონსერვო კომბინატში, მეცამეტე წელია — კრასნოიარსკის მხარის უიარსკის ხორცკომბინატში. ზოგინმშენები არის ლენინგრადში, პერმის და კემეროვოს ოლქებში, ალტაის მხარეში, მორდვეთის სსრ რესპუბლიკაში.

რა მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე შეიძლება ვილაპარაკოთ დღეს კვების საწარმოთა საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ, თუ მათში ჩადებულა ოცი წლის წინანდელი პროექტები?

ჯერ კიდევ გვხვდება პრაქტიკაში საწარმოთა საექსპლოატაციოდ გადაცემა შეკეთებული სახით სოციალური საკითხების გადაუწყვეტლად. ამის შედეგად სახალხო მეურნეობა დიდი ხანია ვერ იღებს მთგან სათანადო უკუგებას. მოიყვანეს როსტოვის ოლქის აზოვის ბავშვთა კვების კომბინატის მაგალითი, რომლის სამძლავრეთა ათვისება ნელა მიმდინარეობს. რა უშლით ხელს? სსრ კავშირის სამხრეთ რაიონებში მშენებლობის სამინისტრომ, რუსეთის სფსრ სახაგრომრეწვმა, როსტოვის საოლქო საბჭოს აღმასკომმა ვერ უზრუნველყვეს კომპლექსურად კომბინატის მშენებლობა. ბინები კოლექტივისათვის მხოლოდ გეგმის 70 პროცენტის მოცულობით არის ჩაბარებული. ზერელედ მიუდგნენ აქ საწარმოს ხელმძღვანელების შერჩევას.

ამასთან დაკავშირებით მომხსენებელმა შენიშნა, რომ პარტიული კომიტეტები, რომლებიც შორდებიან ოპერატიულ სამეურნეო საკითხებს, არაფრით არ უნდა ჩამოშორდნენ საკადრო პოლიტიკას. კომუნისტების, კადრების შემადგენლობის მეშვეობით ახორციელებს პარტია უწინარეს ყოვლისა თავის ხელმძღვანელ როლს სახოგადოებაში. რა თქმა უნდა, დემოკრატიულ საფუძველზე უნდა გადაეწყვეტოთ ხელმძღვანელთა საკითხები.

მთელი რიგი რეგიონების ადგილობრივი ორგანოები აფერხებენ იმ საწარმოთა განლაგებასა და მშენებლობას, რომლებიც პროდუქციას უშვებენ არა მარტო ადგილობრივი მოხმარებისათვის, არამედ საკავშირო-რესპუბლიკურ ფონდში მიწოდებისთვისაც. პარტიის ცენტრალური კომიტეტი მკაცრად გმობს ასეთ ანტისახელმწიფოებრივ პრაქტიკას, შეუწყნარებლად თვლის კუთხურობისა და ტომობაზე, თუ ეგრეთ წოდებულ შეფობაზე. ახლა ეს სახელმწიფო პოლიტიკაა, სამუშაოები შეტანილია გეგმაში, მიმდინარეობს თავდაცვითი საწარმოების კონვერსია.

ვფიქრობ, მინისტრები საჭიროა დასაკვნებს გამოიტანენ კრიტიკიდან. საერთოდ ახლა ისეთი დროა, როცა თავდაცვითი მრეწველობის კოლეტივებს უნდა ჩაეფიქროთ პატივსამცემლური დამოკიდებულება საერთო-სამოქალაქო დანიშნულების პროდუქციისადმი, მაღალი ხარისხის სამომხმარებლო საქონლის გამოშვებისადმი.

თავდაცვითი კომპლექსის მიერ დამზადებულ მრავალ სახეობათა სერიულ ტექნიკას უწესებენ უაღრესად დიდ ფასს, რომელიც არ შეესაბამება მისი ტექნიკური დონის ზრდასა და საექსპლოატაციო მაჩვენებლებს. რა თქმა უნდა, თანამედროვე ტექნიკური დონის მოწყობილობისათვის, დიდი მწარმოებლობისა და საიმედოობისათვის მასში პროგრესული მასალების, მიკროპროცესორული ტექნიკის გამოყენებისათვის უფრო დიდი ფასი უნდა გადაიხადო. მაგრამ ამ საკითხს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა წყვეტდეს შემქმედი და დამამზადებელი არა ფორმალურად, არამედ გონივრულად, ურთიერთსარგებლობის საფუძველზე. მაგრამ სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტიც არ უნდა იდგეს განზე.

მოყვანილი ანალიზიდან ჩანს, რომ თავდაცვითი კომპლექსის ყველა სამინისტროში მათი ხელმძღვანელები ერთნაირად პასუხისმგებლურად, პარტიულად როდი მიუდგნენ ქვეყანაში თანამედროვე კვების ინდუსტრიის შექმნის შესახებ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებას. აქ ლაპარაკი არ არის რაღაც მეცნიერულ-ტექნიკური ცენტრი. მაგრამ ჯერჯერობით ყველგან არ არის საქმე ასეთნაირად დაყენებული. მთლიანად თავდაცვითს დარგებში, თუმცა კი საერთოდ შესრულდა მოწყობილობის წარმოების 1988 წლის დაწესებული გეგმა, უზრუნველყოფილი არ არის მისი ნომენკლატურით გამოშვება. სერიოზული პრეტენზიებია სსრ კავშირის თავდაცვითი მრეწველობის სამინისტროსადმი.

თავდაცვითი კომპლექსის მიერ დამზადებულ მრავალ სახეობათა სერიულ ტექნიკას უწესებენ უაღრესად დიდ ფასს, რომელიც არ შეესაბამება მისი ტექნიკური დონის ზრდასა და საექსპლოატაციო მაჩვენებლებს. რა თქმა უნდა, თანამედროვე ტექნიკური დონის მოწყობილობისათვის, დიდი მწარმოებლობისა და საიმედოობისათვის მასში პროგრესული მასალების, მიკროპროცესორული ტექნიკის გამოყენებისათვის უფრო დიდი ფასი უნდა გადაიხადო. მაგრამ ამ საკითხს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა წყვეტდეს შემქმედი და დამამზადებელი არა ფორმალურად, არამედ გონივრულად, ურთიერთსარგებლობის საფუძველზე. მაგრამ სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტიც არ უნდა იდგეს განზე.

ეს მაგალითები მოწმობს, რომ მანქანათმშენებლობის სამინისტროებმა, მათმა ხელმძღვანელებმა ნამდვილად ვერ გაბალეს საქმიანობა, უწონდელ დონეზე მუშაობენ მოწყობილობით კვების საწარმოთა უზრუნველყოფაში.

არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ კვების მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობის ცენტრალიზებულ მიწოდებასთან ერთად, ზოგჯერ არ ელოდებიან მას და მრავალ ქალაქში ამ მოწყობილობას სანინციატივო წესით უშვებენ. მიმდინარე წელს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ გამართული ზონალური თათბირების ფარგლებში მოწყობილ გამოფენებზე წარმოდგენდა სპეციალისტთა და მუშათა ენთუზიაზმის ნამდვილი ტექნიკური შემოქმედების ხალხური ხელმარჯვე ოსტატთა ხელოვნების შესანიშნავი სურათი. ყველაფერი იყო იქ: საკუთარი კონსტრუქციის მინი-ტრაქტორებით დაწყებული და ორიგინალური სამზარეულო მოწყობილობით დამთავრებული. ამ თვალსაზრისით დაგროვილია გამოცდილება ხარკოვში, ბელგოროდსა და კალუგაში, აგრეთვე პენზის, ოლგოგრადის, კალინინის ოლქებში.

კარგი იქნებოდა მოგვეწყო ამგვარი მოწყობილობის გამოშვება ყველა ოლქში, მხარესა და რესპუბლიკაში, გამოგვეყენებინა ამისათვის სამრეწველო საწარმოები, კერძოდ, აგრომრეწვის საწარმოებიც. ეს საშუალებას მოგვცემს დიდ სოფლებში, რაიონულ ცენტრებში შევქმნათ სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოო-დამამზადებელი პუნქტები პირად კარმიდამოებში პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის გზით სოფლისა და ქალაქის მოსახლეობისათვის ხორცის პროდუქტების წარმოებისათვის. მაშინ ქვეყნის სამომხმარებლო კოოპერაცია უფრო სწრაფად გახდება მწარმოებლურიც. მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ ამის შედეგად გაუჯობესდება სურსათით მოსახლეობის მომარაგება.

ნებისმიერ შემთხვევაში ყოველივე ეს კეთილი საქმეა. დაე, სასურსათო მანქანათმშენებლობის პროგრამით მოქმედებდნენ სპეციალიზებული სახელმწიფო საწარმოები. მაგრამ, დაე, აღდგინებენ მისეულ გასაქანი და მხარი დაუჭიროს ტექნიკურ ინიციატივას. ეს რაღაცაარად შეასუსტებს დარგობრივი მანქანათმშენებლობის მონოპოლიას და, იქნება, რაღაცით კონკურენციაც გაუწიოს მას.

მომხსენებელმა ყურადღება მიაპყრო კიდევ ერთ პრობლემას. ქვეყანაში დიდხანს იყო უმართებულო დამოკიდებულება ტარა-საფუთავი მასალების წარმოებისადმი. იგი ახლაც ასეთივე რჩება. პროდუქციის დანაკარგები არ მცირდება. მიმდინარე ხუთწლედში ტარა-საფუთავი საშუალებების ყიდვაზე დაიხარჯა 300 მილიონ საგალუტო მანეთზე მეტი.

ქიმიური და ხე-ტყის მრეწველობის სამინისტროთა მუშაკების გაგებაში თავს იჩენს ძველი მიდგომები: ესაოდა, კვების მრეწველობა, მით უმეტეს შეფუთვა, ეს საველაზე მთავარი არ არისო ჩვენს ცხოვრებაში, შეიძლებაო სახელმწიფო დავალების ჩაშლა. და შლიან მილიონობით ადამიანის ინტერესების საზიანოდ.

მაშ, ასე, ერთგვარი წინსვლის მიუხედავად, იგი კი ნამდვილად არის, მაინც არ მომხდარა გარდატეხა ქვეყნის კვების მრეწველობის დასახულ ძირეულ განახლებაში. დასკვნის სხვაგვარად ჩამოყალიბება აქ შეუძლებელია.

(გაგრძელება მე-2 გვ.).

მისასალმებელი დეპეშა

მ. ს. გორბაჩოვმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული დღესასწაულის — დამოუკიდებლობის დღის გამო.

დარწმუნებული ვარ, ნათქვამია დეპეშაში, რომ რეალიზმის, თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობა და გაღრმავება შეესაბამება ჩვენი ქვეყნების ხალხთა განწყობილებას და ხელს შეუწყობს საერთაშორისო ურთიერთობაში ახალი, მშვიდობიანი პერიოდისაკენ საერთო წინსვლას.

ჩვენ

თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

(გაგრძელება)

პარტიულმა კომიტეტებმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა რომორც ცენტრში, ისე ადგილებზეც საფუძვლიანად უნდა განხილონ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობა, კონკრეტულად გაარკვიონ თითოეული ობიექტის საქმე და მტკიცედ გამოასწორონ მდგომარეობა. საჭიროა სსრ კავშირის ყველა სამინისტროს, უწყების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ზუსტი, შეთანხმებული მუშაობა აგროსამრეწველო კომპლექსის გადამმუშავებელი დარგების ტექნიკური განახლების საკითხებში. აქ საჭიროა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივი ორგანოების ძალების კოორდინაცია.

საჭიროა, რომ თითოეულ რესპუბლიკას, მხარეს, ოლქს, ქალაქს, რაიონს ჰქონდეს კვების იდუსტრიის საწარმოთა ტექნიკური განახლების, სასურსათო პროდუქტების შენახვისა და გაჯობრების განვითარების კომპლექსური გეგმა და ქალაქებში არსებული მთელი რესურსები მოსაბრონ მის შესრულებას. ამ თვალსაზრისით ბევრ რამეს აკეთებენ ქალაქის შრომითი კოლექტივები "ტუმენის, როსტოვის, დნეპროპეტროვსკის, რიგაზანის, ვორონეჟის, გორკის და მინსკის ოლქებში, კრასნოიარსკის და კრასნოდარის მხარეებში, აზერბაიჯანსა და ყაზახეთში.

მაგრამ შეიძლება დავასახელოთ მეტი ოლქები, სადაც ცოტა რამ თუ კეთდება. ქვეყანაში ათასობით რაიონული ცენტრი და ქალაქია, სადაც ყველაზე უბადრუკი საწარმოა ეგრეთ წოდებული რაიკომბინატი, ანდა ბურის ქარხანა, ანდა ხორცის კომბინატი. ეი იგი — ძველი მიდგომების, ძველი აზროვნების ტიპური ასახვა ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების საჭირბოროტო საკითხის გადაჭრისას.

ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ავაშენოთ ახალი საწარმო, აღვჭურვოთ იგი ახალი ტექნიკით. მაგრამ მთავარია, თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, სწრაფად აფთვისოთ სიმძლავრეები, უზრუნველყოთ ხარისხიანი და მრავალფეროვანი სასურსათო პროდუქტების გამოშვება. აქ საჭიროა თანამედროვე ტექნოლოგია შეეურწყათ ეკონომიკური ურთიერთობის სრულყოფას, შეეგნინათ ისეთი კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა, რომლებიც დაუფლებული იქნებიან მეურნეობრიობის ახალ მეთოდებს. ამას უნდა მიეკუთვნოთ ქვეყნის საუკეთესო საწარმოებში და საზღვარგარეთ კადრების სტაჟირებაც. სამდელი სამეურნეო ანგარიში, არენდა, კოოპერაცია და თანამედროვე კადრები კვების მრეწველობის ტექნიკური რეკონსტრუქციის პროგრამის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ეს საჭიროა კვების მრეწველობაში არსებული საწარმოო პოტენციალის ეფექტიანი გამოყენებისთვისაც.

უნდა ვნახოთ, როგორ მუშაობს კონკრეტულად თითოეული ხორცკომბინატი, რძის ქარხანა, პურის ქარხანა, საკონდიტრო ფაბრიკა, თევზის კომბინატი, სხვა კვების საწარმოები. მთავარია უფრო მჭიდროდ დაუკავშიროთ ადამიანი წარმოების საშუალებებს, უფრო ფართოდ გადავცეთ ისინი არენდით შრომითს კოლექტივებს, შეეგნინათ სახელმწიფო საარენდო-კოოპერაციული გაერთიანებანი, ყველგან შემოვიღოთ სამეურნეო ანგარიში და ამ საფუძველზე გამოვალინოთ თვით მუშაკში, სოციალისტურ საკუთრებაში ჩადებული თავისუფალი შრომის პოტენციური შესაძლებლობანი.

გაბედულად უნდა შევიმუშაოთ წარმოების ორგანიზაციის ახალი ფორმები, განვაზორციელოთ კვების საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, აგრეთვე შენახვისა და რეალიზაციის ბაზების, ვაჭრობის ფართო კოოპერაცია სამეურნეო-განარიშებრივი, საიჯარო და საარენდო ურთიერთობის საფუძველზე. ესენი შეიძლება იყოს აგროკომბინატები, აგროფირმები, კოოპერატივები თუ ასოციაციები. უკვე ბევრი ასეთი მაგალითი გვაქვს.

ქვეყნის კვების მრეწველობაში დასაქმებულია სულ 3 მილიონი კაცი. მაშინ პროდუქციის საერთო მოცულობამ, რომელიც მათ შოგაცეს, შეადგინა 141 მილიარდი მანეთი. ამასთან ეს არის მართლაც ყოველდღიური მოთხოვნის პროდუქცია, იგი დიდად განსაზღვრავს საბჭოთა ადამიანების შრომისუნარიანობას, ჯანმრთელობასა და განწყობილებას.

აქედან დასკვნა: ყოველნაირად უნდა გავზარდოთ შრომის პრესტიჟი გადამუშავებელი მრეწველობის საწარმოებში, ავამაღლოთ კვების მრეწველობის მუშაკის პროფესიის ავტორიტეტი. არადა, ოდესღაც ხომ ეს ყველაზე პატივსაცემი საქმე იყო, ეს საქმე ოჯახებში თაობიდან თაობებს გადაეცემოდა. შესანიშნავი იქნება, თუ ხალხში ჩამოყალიბდება აზრი, რომ ყველაზე კარგ ძეხვს უშვებენ ამა და ამ ქალაქში, საუკეთესო პურს — აქა და აქ, საუკეთესო ტკბილეულს — ესა და ეს ოსტატი. ეჭვი არ მეპარება, რომ ამას მივაღწევთ, უნდა მივაღწიოთ.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა, სამხარეო და საოლქო კომიტეტებმა უთუოდ უნდა გაუძლიერონ ყურადღება კვების მრეწველობის საწარმოთა პარტიულ ორგანიზაციებს. ეს ორგანიზაციები, ჩვეულებრივ, მცირერიცხოვანია, დიდი ქარხნებისაგან განსხვავებით, აქ იშვიათად მიდიან რაიკომებს მუშაკებიც კი. ამ მნიშვნელოვანი დარგის პარტიულ ორგანიზაციებს უნდა დავუხმაროთ, რომ გარდაქმნან თავიანთი მუშაობა თანამედროვე მოთხოვნების სულისკვეთებით, გააძლიერონ კომუნისტთა პასუხისმგებლობა საქმისათვის, რომელიც მათ აკისრიათ წარმოებაში.

ახლა ბევრ რამეში გარდამავალი პერიოდი გვაქვს. პარტიულმა კომიტეტებმა საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მაგვარობის გაუწევლად უნდა უზრუნველყონ პარტიის აგრარული პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაცია, და ეს, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტთა მეშვეობით უნდა განახორციელონ. პარტიის ავტორიტეტი დღეს დიდად განისაზღვრება იმით, თუ როგორ წყდება ეკონომიკური და სოციალური პრობლემები.

რა თქმა უნდა, ყოველმხრივ უნდა განვმტკიცოთ ყველა დონის საბჭოები, ხელი შევუწყოთ მათ, უფრო სწრაფად გახდნენ სრულფასოვნიანი ბატონ-პატრონები თავიანთი ტერიტორიებზე, მათ შორის მოსახლეობის სურსათით მომარაგებაში. ამ საარსებო მნიშვნელობის საკითხებთან უფრო ახლოს უნდა იყვნენ პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები.

იმედი გვაქვს, რომ კვების ინდუსტრიის განვითარების პროცესის გაშუქებაში უფრო სრულად ჩაებმება ყველა მასობრივი ინფორმაციის საშუალება. აქ საჭიროა სრულიად სახალხო კონტროლი. ვიმედოვნებთ, რომ ჟურნალისტებს გაუჩნდებათ ინტერესი ამ პრობლემისადმი. არ შეიძლება ერთი და იგივე საკითხებით შემოფარგლა. ეკონომიკის აგრარულ სექტორში შედის სასოფლო-სამეურნეო წარმოება. გადამმუშავებელი მრეწველობა და კვების ინდუსტრია, სპეციალური მანქანათმშენებლობა, კაპიტალური მშენებლობა, სოფლის სოციალური სფერო, მილიონობით მუშა, კოლმეურნე, მოიჯარე, სპეციალისტი. პარტიის, მისი ხელმძღვანელი ორგანოების ამოცანა ის კი არ არის, რომ გლეხს ხვნა-თესვა ასწავლონ (ეს უკვე იყო, და შედეგებიც ცნობილია), არამედ ის, რომ შეიმუშაონ და განახორციელონ აგრარული პოლიტიკა, განსაზღვრონ მისი პრიორიტეტები, გაითვალისწინონ და ხორცი შეასხან საზოგადოებისა და გლეხობის ინტერესებს. პრობლემათა მთელი სპექტრი უნდა აისახოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

მარტის პლენუმისათვის მზადების პერიოდში და თვით პლენუმზე, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ გამართულ თათბირებზე განვიხილეთ სოფლად წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, საოჯახო მეურნეობების განვითარების, სამრეწველო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოების საკითხები. არავის არ უნდა შეექმნას შთაბეჭდილება, თითქოს გადამუშავებელი მრეწველობის ბრძოლმემების განხილვით დღეს უკანა პლანზე გადავაქციეთ სოფლის მეურნეობა. პირიქით, ვსაბაჯო სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების ასპარეზს.

მაღალგანვითარებული, თანამედროვე კვების იდეუტრიის შექმნა ქვეყანაში სასურსათო რესურსების ზრდის ერთ-ერთი უმოკლესი გზაა. ამასთან დარწმუნებული ვართ, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, საოჯახო მეურნეობანი არსებული საწარმოო პოტენციალის ეფექტიანი გამოყენებისთვისაც.

როგორც მოგეხსენებათ, შარშან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ გამართულ ზონალურ თათბირებზე განვიხილეთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შიდასამეურნეო საარენდო ურთიერთობის დანერგვისა და პირადი დამხმარე მეურნეობების ყოველმხრივი განვითარების საფუძველზე ეკონომიკური გარდაქმნის საკითხები. ქვეყანაში 36 მილიონი ასეთი საოჯახო მეურნეობაა და ისინი მთელი სოფლის მეურნეობის პროდუქციის 24 პროცენტს იძლევიან. ახლა საჭიროა მათ მცირეგაბარიტიანი ტექნიკა მივცეთ.

ბოლო დროს გამოითქვა საინტერესო იდეები, მათ შორის სწავლული ეკონომისტების მიერ, საბალნო მეურნეობაში დაძაბულობის დაძლევის გზების შესახებ. მართალია, სხვა ნმბიც გაისმის. როგორც ცნობილია, ქვეყანა ბევრი რამის დეფიციტს განიცდის. მაგრამ, სამწუხაროდ, არ არის მკვახე გამოთქმების, იარლიყების და უბრალოდ ცილისწამების დეფიციტი. ზოგ-ზოგები ერთი — ორი წლის შემდეგ შიმშილსაც დაიწინასწარმეტყველებენ. იმისათვის, რომ შიმშილი თავიდან ავიცილოთ, გვთავაზობენ დავშალოთ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, დავურიგოთ მიწა გლეხებს, განვახორციელოთ მიწის დენაციონალიზაცია, შემდეგ კი მთელი წარმოების საშუალებათა დენაციონალიზაციაც. ამ დროს კი აღმოჩნდა, რომ გლეხების დიდ უმრავლესობას არ სურს მიწის აღება და კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან გამოსვლა. მაშინ კი მათ ბრალად სდებენ, გაზარმაცდითო, მუშაობას გადაეჩვიეთო.

სინამდვილეში კი როგორ არის საქმე? საბჭოთა გლეხობა, მასობრივი რეპრესიების მიუხედავად, ყველაზე მძიმე წლებში ქვეყანას უზრუნველყოფდა სურსათით, მუშათა კლასთან, ინტელიგენციასთან ერთად იარაღით იცავდა სოციალიზმის მონაპოვრებს, სამშობლოს ღირსებასა და თავისუფლებას, უდიდესი წვლილი შეჰქონდა ქვეყნის ინდუსტრიულ ძლიერებაში. ახლაც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსების დეფიციტის, მეტად მოუწყობელი ყოფის პირობებში ზრდიან სურსათის წარმოებას. თუმცა ცნობილია, რომ ჩვენი გლეხი ოთხჯერ უარესად არის აღჭურვილი შრომის იარაღებით, ვიდრე ამერიკელი ფერმერი.

კომუნისტურმა პარტიამ რთულ პირობებში იკისრა ისტორიული პასუხისმგებლობა სასურსათო პრობლემის გადაჭრისათვის. პარტიის ყველა რაზმი, ცენტრალური კომიტეტი პოლიტიკურ გამოცდას აბარებენ ხალხის წინაშე. დრო არ იცდის.

კამათი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ვ. ვლასოვმა.** რესპუბლიკაში, თქვა მან, გადამუშავებელი დარგების სიმძლავრეებისა და შენახვის ბაზების დაჩქარებული ზრდისაკენ სერიოზული შემობრუნება

სალებით უზრუნველყოფისა და მოწყობილობის კონკლექტაციის კომპლექსური მთავარი სამმართველოები. ინიციატივიანი, ზეგეგმითი ობიექტები ყოველნაირად უნდა წვალებლოთ და სტიმული მივცეთ საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსების ოპერატიული გამოყოფით. ეს დარგი ღირს იმად, რომ მას უაღრესად პასუხისმგებლურად და სრული პრიორიტეტით მივუდგეთ.

რესპუბლიკაში, განაცხადა ყირგიზთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ა. მ. მასალიევმა,** უკანასკნელი სამწელიწად-ნახევრის მანძილზე გადამუშავებელი დარგების ბაზის განვითარებაში დაბანდებულია 190 მილიონ მანეთზე მეტი. სახსრები ძირითადად მოხმარდა საწარმოთა რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ განახლებას. მაგრამ გადამუშავებელი დარგების განვითარების დასახული ამოცანები ვერ შესრულდა. კადრებს აკლიათ სიმტკიცე, ამასთან კომპეტენტურობაც. მთელი რიგი საკითხების გადაჭრა დამოკიდებულია შესაბამის ორგანოებზე. მოწყობილობის, სხვადასხვა მასალების კომპლექტაცია, მიწოდება დამაკმაყოფილებლად არ ხდება. ეს იწვევს ობიექტების მშენებლობასაც.

შემდეგ ორატორმა დაასახელა მოწყობილობის სახეობანი, რომელთა განსაკუთრებულ დეფიციტს განიცდიან რესპუბლიკის გადამუშავებელი დარგები. მათზე მრავალი განაცხადი სისტემატურად არ სრულდება.

პირდაპირ უნდა ვაღიაროთ, აღნიშნა მოსკოვის გამოყენებითი ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის რექტორმა **ი. ა. როგოვმა,** რომ კრიტიკა, რომელიც მოხსენებაში გაისმა, ჩვენც გვეხება, რადგან ჩვენმა აღრიცხვებმა, ასპირანტურის კუთვნილმთავრეულებმა დროზე არ აღიმაღლეს ხმა ახალ ტექნოლოგიათა დასაცავად.

იმ უმაღლესი სასწავლებლის მდგომარეობა, რომლებიც სპეციალისტებს უმზადებენ გადამუშავებელ დარგებს, ჩარევას საჭიროებს. დარგის მდგომარეობა განსაზღვრულია როგორც არადამაკმაყოფილებელი, დარგობრივი მეცნიერების მდგომარეობა საერთოდ ახლოს არის ამასთან.

ეს ინსტანცია, ჯერ ერთი, იმით, რომ საწარმოები და ორგანიზაციები სრულიად არ არიან დაინტერესებულნი ფუნდამენტური სამუშაოების წარმოებით, მეორე, არ არის მოლეკულური ბიოლოგიის, გამოთვლითი ტექნიკის დარგის ესე იგი იმ დარგების მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც განსაზღვრავენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სახეს, მესამე, ჩვენ ხელიდან გავუშვით მიმართულება, რომელიც სწრაფად ვითარდება ახლა დასავლეთში, — კვების ქიმია, რომელშაც 15-20 წლის წინათ წამყვანი ადგილი დაიკავა.

გაანალიზა რა ოლქის სასურსათო მომარაგების ვითარება, სკკპ გორკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. ბ. ბოდირევმა** იგი. დაახასიათა როგორც რთული, ხოლო გადამუშავებელი დარგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის მდგომარეობა სრულიად არასაკმარისად ცნო. ახლა აგროსამრეწველო კომპლექსისათვის დახმარების გაწევაში ჩაერთო გორკისა და ოლქის სხვა სამრეწველო ცენტრების საწარმოო, სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი. და მიუხედავად ამისა, განაცხადა ორატორმა, ვითარება მძიმეა. არა გვაქვს სრული რწმენა იმისა, რომ მივაღწევ მრავალს დასახული მიჯნებიდან, თუ არ გამოვიყენეთ დამატებითი ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. შეიძლებოდა გვესარგებლა რეკომენდაციებით იმის შესახებ, რომ აგროკომპლექსს გადაეცეს სამრეწველო საწარმოებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებების დაახლოებით 10 პროცენტი, მაგრამ მრავალი სამინისტრო ან უკრძალავს თავის საწარმოებს ამას, ან უკიდურესად ამცირებს თანხებს, ანდა გადასცემს მხოლოდ ფულს, ამასთან ავიწყდება, რომ აგროკომპლექსს მარტო ფულადი ნაშენები კი არ სჭირდება, არამედ მთავარი რამ — საიჯარო სამუშაოთა ლიმიტები და მატერიალური რესურსები.

ალბათ, დადგა დრო, მეურნეობრიობის ახალი რეკომით რომ ვმუშაობთ, გავდავწყვეტოთ, ბოლოს და ბოლოს, ფასწარმოქმნის საკითხები. საბითუმო ფასების არასრულყოფილების გამო ზოგიერთ დარგში პარადოქსული სიტუაციაა: რაც უფრო მეტ პროდუქციას უშვებენ, მით უფრო მეტი ზარალი მოსდით გადამუშავებელს. უნდა მოვაწესრიგოთ ეს საკითხები ქვეყნის მასშტაბით. კვების მუშაკთა კოლექტივებს მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ პარტიულმა კომიტეტებმა და იდეოლოგიურმა დაწესებულებებმა.

ტრიბუნაზეა უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ა. მასოლი.** მანაც გადამუშავებელი დარგების განვითარების შემკავებელ მთავარ მიზეზად დასახელა ტექნოლოგიური მოწყობილობის ნაკლებობა, მისი დაბალი ხარისხი და მოიყვანა ამის თაობაზე სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ასახავს რესპუბლიკაში სხვადასხვა სახელწოდების ნაწარმის მიწოდების მოცულობებს. ასეთი ტემპის დროს, აღნიშნა ორატორმა, 40 წელიწადი დაგვჭირდება, რომ ხელახლა აღვჭურვოთ, მაგალითად, შაქრის მრეწველობა.

ბ. ხ. ჯორბაძისი. წერილი მიიღე კრასნოდარიდან. უსპენსკის შაქრის ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მდივანი მწერს, რომ დაათვალიერა გამოფენა, აქ არაფერი არ არის შაქრის მრეწველობისათვის. ყველა შაქრის ქარხანა კი რეკონსტრუქციას მოითხოვს.

ვ. ა. მასოლი. რა თქმა უნდა, გულხელდაკრეფილნი არ ვსხედვართ. ვიყენებთ ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების სამრეწველო პოტენციალს. მოვაწყვეთ

რესპუბლიკის საწარმოებში დეფიციტური მოწყობილობის ნაწილის დამზადება.

თავის გამოსვლაში ბიისკის ხორცსაკონსერვო კომბინატის დირექტორმა **ვ. ფ. შეხტაკოვმა** თქვა, რომ ალტაის მხარეს პირუტყვის დამზადების მოცულობით ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს რუსეთის სფსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ი. ს. ბელოუსოვმა.** აგროსამრეწველო კომპლექსის გადამმუშავებელი დარგების საქმის ვითარების გამო დიდ წუხილთან ერთად მან გამოთქვა სრული რწმენა, რომ თავდაცვით დარგებს შესწევთ უნარი შედარებით მოკლე დროში გადაწყვეტონ საკითხები, რომელიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების უზრუნველყოფასთან.

კმაყოფილი ვართ თუ არა გაწეული მუშაობით და საქმის მდგომარეობით? ერთმნიშვნელოვნად ვუპასუხებ — არა! ფართოვრესად, იმიტომ, რომ 1988 წელს დადგმული მოწყობილობის დონე და ხარისხი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს. ამ დასკვნის ნათელსაყოფად ორატორმა მოიყვანა მთელი რიგი კონკრეტული მაგალითები.

სწორი იქნებოდა ერთ ხელში მოგვეციცა როგორც დაპროექტების, ისე ტექნიკის დამზადების ტექნოლოგიის საკითხები. თითოეულ ოლქში, რესპუბლიკაში ყოველი ქარხანა მოვალეა მიაწოდოს ზუსტად იმდენი მაკომპლექტებელი ნაწარმი, რამდენიც საჭიროა წარმოების დადგენილი მოცულობისათვის. თუ საჭიროა რაიმე დამატებითი დადგწყვეტილება მინისტრთა საბჭოს ხაზით, ჩვენ ამ საკითხსაც განვიხილავთ.

თუ კრიტიკულად შევაფასებთ იმას, რაც გაკეთდა, თქვა სსრ კავშირის სამხრეთი რაიონების მშენებლობის მინისტრმა **ა. ნ. შჩეკატოლნიკოვმა,** უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველივე დასახული როდი შესრულდა. ირღვევოდა მთელი რიგი სიმძლავრეების ამოქმედების ვადები. არ სრულდებოდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გეგმა, ჯერ კიდევ ნელია იზრდება მათი სიმძლავრეები. ორატორმა დაასახელა ობიექტები, რომელთა ამოქმედება დასახულია უახლოეს დროში, ილაპარაკა საამისო ღონისძიებებზე.

ნორმატიულ ვადებში აგროსამრეწველო კომპლექსის სიმძლავრეთა ამოქმედების უზრუნველყოფისათვის საჭიროა ამამოქმედებელი მშენებლობის მოწყობილობის დროული დაკომპლექტება, მიაჩნია ორატორს. გამოთქვა სურვილი, რომ მოწყობილობას აწოდებდნენ არა დაშაქრულად, არამედ კომპლექტურად, სრული საქარნახო მზაობით. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს აგროსამრეწველო კომპლექსის ობიექტების მშენებლობის პრიორიტეტი სხვა დარგების საწარმოო ობიექტების მშენებლობისაგან სამშენებლო ორგანიზაციების განტვირთვასთან დაკავშირებით. სხვა ქარხნებისა და ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობის პირობებში თავისი საწარმოს რეკონსტრუქციის გამოცდილებაზე ილაპარაკა მოსკოვის ოლქის ეუკოვსკის პურკომბინატის დირექტორმა **ზ. დ. ბალაკირევმა.** მაგრამ პურკომბინატის ყველა პრობლემა რადი გადაიჭრა.

ორატორმა, რომელმაც მიმართა შეკრებილთ, თქვა: „დარბაზს ვუყურებ — თითქმის სულ მამაკაცები სხედან, ქალი თითო-ოროლაა. გადამუშავებელ მრეწველობაში კი მომუშავეთა სამ მეოთხედს ქალები შეადგენენ. აი, ალბათ, პირიქიდ რომ ყოფილიყო, საკითხი, რომელსაც დღეს ვიხილავთ, დიდი ხნის გადაწყვეტილი იქნებოდა“. ამით ხომ მძაფრდება დარგის ისედაც მწვავე სოციალური პრობლემები. ამ დარგში მუშაობა კეთილ ნაკლებპრესტიჟულია.

აუდიტორიის ყურადღება მიეპყრო აგრეთვე მოწყობილობის ფასების მომატებას მისი მუდმივი დეფიციტის პირობებში. ამის გამო წარმოიქმნება დიდი სიძნელეები საწარმოო ფონდების რეკონსტრუქციის, ტექნიკური განახლებისა და კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებულ ღონისძიებათა დაფინანსებასთან დაკავშირებით.

სიტყვა ეძლევა ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **ვ. ვ. ხაკალაუსკასს.** მან თქვა: ძირითადი მიზეზი იმისა, რომ რესპუბლიკაში მთლიანად არ არის ათვისებული გადამმუშავებელი დარგების საწარმოო სიმძლავრეების ზრდისათვის გამოყოფილი სახსრები, იმიერად საიჯარო ორგანიზაციების გადამეტტვრთვა კი არ არის, რამდენადაც საგარეო სავაჭრო ორგანოების მიზეზით იმპორტული ტექნოლოგიური მოწყობილობის მიწოდებაზე კონტრაქტების დადების შეფერხება.

გადამუშავებელი დარგების განვითარებაში ყველაზე მთავარია, აღნიშნა ორატორმა, არა მარტო ის, რომ გავზარდოთ მათი სიმძლავრეები, არამედ ის, რომ შევქმნათ თანამედროვე მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის ნედლეულის ღრმა და კომპლექსურ გადამუშავებას. მეტად სასიხარულოა, რომ მუშაობა ამ მიმართულებით ქვეყანაში უკვე წარმოებს. მაგრამ მანქანათმშენებლობის სამინისტროები ზოზინობენ. ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკაში აგდილობრივი სამრეწველო საწარმოებისა და ორგანიზაციების ძალებს მაქსიმალურად ახმარენ გადამმუშავებელი საწარმოებისათვის ცალკეულ სახეობის მოწყობილობისა და შექანიზმების დამზადებას, რომლებიც ამცირებენ ხელის და ფიზიკური შრომის მოცულობას.

ტრიბუნაზეა სსრ კავშირის საერთო მანქანათმშენებლობის სამინისტროს საკონსტრუქტორო ბიუროს „ენერგომანქანის“ უფროსი და მთავარი კონსტრუქტორი **ვ. პ. რადოვსკი.** ჩვენ, თქვა მან, გვეკვლება შევიმუშაოთ საათში 25 ტონის მწარმოებლობის რძის უნიკალური სეპარატორები. დიდ ქალაქებში უნდა იყოს დიდი რძის კომბინატები, რომლებსაც უნდა ჰქონდეთ შესაბამისი მწარმოებლობის სეპარატორები. მსოფლიო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ეს ასეა. ახლა უკვე არის სეპარატორთა სამი ეგზემპლარი. სექტემბერში ვაპირებთ დავიწყოთ ცდები რძეზე, შემდეგ კი გადავიდეთ სერიულ გამოშვებაზე.

ამ სეპარატორის შემუშავებისას დასახული ერთ-ერთი ამოცანა, მისი რესურსი გავაორკეცოთ, ვიდრე დათქმულია ამ ნაწარმზე სახელმწიფო სტანდარტით. ეფექრობ, თქვა ორატორმა, ამას მივაღწევთ. ასეთ საქმეში, ალბათ, ყოველთვის არ უნდა გამოვეკიდოთ ნაბიჯებს. როცა ვემნთ ახალ ტექნიკას სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებისათვის, უწინარეს ყოველისა, უნდა ვიფიქროთ მის ხარისხზე, რესურსსა და გარანტიებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ სახაგრომრეწვის თავმჯდომარემ **გ. დ. მგელაძემ** ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა მუშაობას ეწევა რესპუბლიკა გადამმუშავებელი მრეწველობის განვითარებისათვის, ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ძვრები ამ დარგში მეტად უმნიშვნელოა.

ორატორმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებს. სამართლებრივი საფუძველი გვაქვს, საქმე კი ნელა მიიწევს წინ. ამის მიზეზია გლეხების ფსიქოლოგია, რომლებიც უკვე არაერთხელ მოატყუეს, აგრეთვე მეურნეობების ბევრი ხელმძღვანელის და სპეციალისტის, მართველობა და სპეციალისტის, მართველობა და სპეციალისტის, მართველობა

თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

(დასასრული)

ურთიერთობას სოფლად. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს მოითხოვს სხვა ტექნიკას, სხვა მექანიზმებს. უნდა ვიაზრებდეთ და უფრო ოპერატიულად ვწყვეტდეთ ამ საკითხებს.

ამ ღონისძიებათა შორის, რომლებსაც შეუძლიათ მოგვცენ და უნდა მოგვცენ კიდეც სურსათის რესურსების მატება, არის ოჯახური, პირადი მეურნეობების პოტენციალის საყოველთაო გამოყენება. ეს ყველაზე მოკლე გზაა, ამბანაგებო. ამას გვიდასტურებს ბელორუსიის, ყაზახეთის, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გამოცდილება. ამ მოსახლეობას ანგარიში გაუწიეს, შექმნეს იმის პირობები, რომ გაზრდილიყო პირუტყვის რაოდენობა ინდივიდუალურ სექტორში, უზრუნველყოფილიყო იგი საკვებით. ყოველივე ეს სწრაფად იძლევა პროდუქციის მატებას. გაგებით ეკიდებიან პირად კარ-მიდამოს ომსკის ოლქში. ეს არაერთხელ გვითქვამს. აქ არის გლეხურ კარ-მიდამოზე პირუტყვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დატვირთვა. ყოველივე ეს ინტეგრირდება კოლმეურნეობასთან, საბჭოთა მეურნეობასთან, კარგად ავსებს ერთმანეთს, სოფლის საერთო პოტენციალის უკეთ გამოყენების საშუალებას იძლევა. ეს ყველაფერი გამართლებულია ეკონომიკურადაც და პოლიტიკურადაც.

პირადი კარ-მიდამოს განვითარება და მხარდაჭერა საჭიროა ქვეყნის ყველა რეგიონში. მე ვფიქრობ, უუბანშიც კი, სადაც მდიდარი შავმიწა ნიადაგია, საჭიროა მიწა ეძლეოდეს ადამიანებს, მათ შორის თესლსაბრუნი მიწების ხარჯზეც. სოფლის მცხოვრებს უნდა ჰქონდეს დამზმარე პირადი მეურნეობისათვის ჰექტარი! დაე, გამოიყენოს. შესაძლოა რამდენადმე სხვაგვარი მდგომარეობა იყოს სარწყავი ჰექტარის მხრივ. აქ ყოველი მტკაველი აღრიცხვაზეა. მიუხედავად ამისა აქაც შეიძლება საარენდო ნაკვეთების გამოძებნა. ანდა, ავიღოთ ყაზახეთი. აქ არენდამ ფეხი მოიკიდა ტრამალის რაიონებში, მეცხვარეები ქმაყოფილი არიან. დეპუტატები ეს-ეს არის დაბრუნდნენ ამ ადგილებიდან და გუშინწინ მიამბობდნენ ამის შესახებ. ახლა ჩვენ ჩამოგვიყალიბდა საერთო პოლიტიკური მიდგომა — მივცეთ ადამიანებს თავიანთი პირადი მეურნეობის გაშლის შესაძლებლობა. სწორედ ამით უნდა ვხელმძღვანელობდეთ პრაქტიკული მუშაობის დროს.

და ბოლოს, პროდუქტების რაოდენობისა და ხარისხის სახით შედეგის სწრაფი მიღწევის მოკლე და ეფექტიანი გზაა გადამუშავების, შენახვის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის თანამედროვე დაყენება. დღეს ორატორებმა აღნიშნეს, რომ ორგანიზებული მეურნეობები, აგროკომბინატებიც კი პროდუქციის 20 პროცენტამდე კარგავენ. ტარის წარმოებასთან და ტრანსპორტირების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული შედარებით ნაკლები გარჯისა და მატერიალური დანახარჯების პირობებშიც კი ასტრახანის ოლქს შეეძლებოდა მოსკოვისათვის დამატებით 100 ათასი ტონა ბოსტნეული მიეწოდებინა. დედაქალაქს უზარმაზარი შესაძლებლობები აქვს იმისათვის, რომ ოლქებთან, რესპუბლიკებთან ერთად გადაეჭრას ასეთი პრობლემები თვით მოსკოველთა ინტერესების შესაბამისად.

გადამუშავების სფეროს განვითარების თაობაზე მიღებულ დადგენილებათა შესრულებას როცა ვაანალიზებთ, ჩვენ, მე ვიტყოდი, უნდა აღვნიშნოთ დუნე მუშაობა ცენტრშიც და ადგილებზეც.

რატომ ცენტრში? იმიტომ, რომ, მაგალითად, სახელმწიფოს საგგამო კომიტეტმა დიდძალი რესურსები დააკლო, განსაკუთრებით იმათ, ვინც წინ წავიდა გამოყოფილ კაპიტალდაბანდებათა ათვისებაში. სამინისტროები აპიანურებენ სერიული ახალი ტექნიკის შემუშავებასა და ათვისებას. მათ არ გადაუწყვეტიათ ხარისხის ბევრი საკითხი. ხშირად ნაკადურად უშვებენ მოძველებულ მოწყობილობას. გაუმართლებლად დიდი ფასები დაუწესეს აგროსამრეწველო კომპლექსისათვის მისაყიდ პროდუქციას. ეს არ ვარგა. ასეთ დამოკიდებულებას ვერ ვუწოდებთ აგრარული სექტორისაკენ შემობრუნებას. ეს სერიოზულად უნდა გამოვასწოროთ საკადრო დონეზე.

მეორე მხრივ, საწარმოები, რომლებიც ასრულებენ შეკვეთებს ქვების ინდუსტრიისათვის, სადღაც კი არ არიან განლაგებული, არამედ კონკრეტულ ქალაქებში, ოლქებსა და რესპუბლიკებში. იქ კი მოქმედებენ საკუთარი პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა ორგანოები. მაგრამ ამ საწარმოებთან ისინი, პირდაპირ უნდა ვთქვათ, სუსტად მუშაობენ. არ არის ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა, არ არის იდეოლოგიური უზრუნველყოფა. ეს ის სამუშაო არ არის, რომელიც ადგილებზე უნდა წარმოებდეს. ეს ის არ არის, რასაც გარდაქმნა მოითხოვს, რასაც მოითხოვს ქვეყანაში ადამიანების სურსათით მომარაგების მხრივ არსებული რეალური სიტუაცია.

ამიტომაც არის, რომ საწარმოო კოლექტივებში სასურსათო საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებული გეგმები და შეკვეთები ხშირად წინა პლანზე კი არ არის, არამედ თითქოსდა სადღაც გვერდზე რჩება. მე აქ მუშათა კლასს არ ვდებ ბრალს. ეს ჩვენი კადრების ხარვეზებია. საქმის ასე გაძღოლა ახლა აღარ შეიძლება. საჭიროა დაძაბული მუშაობა ყოველივე იმის სარეალიზაციოდ, რაც უკვე შევიმუშავეთ. ძირითადი მეცადინეობა უნდა მოვახმაროთ იმ საკითხების პრაქტიკულ გადაწყვეტას, რომლებიც ცხოვრებამ წამოგვიჭრა.

ამიტომ მინდა, რომ ამ თათბირის შედეგების მიხედვით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივმა ორგანოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, ჩვენმა კომუნისტებმა, რომლებიც მათ მეთაურობენ, საფუძვლიანად აღნუსხონ საქმის მდგომარეობა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება იმ კრიტიკის გათვალისწინებით, აქ რომ გამოითქვა. იმას, რაც ახლა კეთდება, მატების პროცენტებით კი არ უნდა ვაფასებდეთ, არამედ იმით, თუ რამდენად აკმაყოფილებს ეს ჩვენს მოთხოვნილებებს, და მაშინ იქნება აზროვნების სხვა მასშტაბი, მიდგომის სხვა მასშტაბი სახელმწიფოს საგგამო კომიტეტშიც და მინისტრთა საბჭოს მუდმივ ორგანოებშიც. ასეთი საუბარი სასარგებლოდ მიმაჩნია იმისათვის, რომ ცენტრშიც მკვეთრად მოვატრიალოთ საქმე, გავაძლიეროთ ყურადღება დასახულ ამოცანათა გადაწყვეტისადმი.

მიზნაშეწონილი მგონია აგრეთვე ის, რომ თქვენ, ამხანაგებო, თათბირის მონაწილეებო, ადგილებზე როცა დაბრუნდებით, შექმნათ იმისადმი მუდმივი კონტროლის მექანიზმები, თუ როგორ სრულდება მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც სოციალური პოლიტიკის ყველაზე მწვავე მიმართულებებს ეხება.

მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ შევძლებთ სიტუაციის შეცვლას. ხოლო იქ, სადაც საქმე არ გამოდის, სადაც კადრები არ რეაგირებენ გარდაქმნის მოთხოვნებზე და უგულებელყოფენ ხალხის საჭიროებას, პარტიული თვალსაზრისით დაისვას ეს საკითხი და განხორციელდეს შესაბამისი საკადრო პოლიტიკა, რომელიც პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტას უზრუნველყოფს.

ეს ეხება ყველა დონის კადრებს. ამ მხრივ პარტიულ ორგანოებს არაფრის არ უნდა ერიდებოდეს, თუ ხელმძღვანელი კომუნისტები საქმეს შლიან. ეს საქმესაც უშავებს და პარტიის ავტორიტეტსაც ლახავს.

მინდა გისურვოთ ყველას, ამხანაგებო, აქტიური, კონკრეტული, შემართებული მუშაობა, მუყაითობა და წარმატება.

(საკდესი).

ეკონომიკა

საკდესი იუწყება 3 ივლისი

● ჩინეთი

ვან ლის გამოსვლა

პეკინი. ჩინეთი კვლავაც განავითარებს სოციალისტურ დემოკრატიას, განამტკიცებს სოციალისტურ მართწესრიგს, რათა კიდევ უფრო გააძლიეროს სახალხო წარმომადგენელთა კრების ინსტიტუტის როლი. ეს მუშაობა ჩინეთში პოლიტიკური რეფორმის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, განაცხადა აქ მიმდინარე სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის სხდომაზე ამ კომიტეტის თავმჯდომარემ ვან ლიმ.

ჩინეთის უზენაესი ინტერესები, თქვა მან, მოითხოვს ქვეყანაში საშინაო ვითარების სტაბილიზაციას. სარგებლობენ რა თავიანთი უფლებებითა და თავისუფლებებით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეებმა ზიანი არ უნდა მიაყენონ ქვეყნის ინტერესებს. ყოველგვარი საქმიანობა არსებული კანონების ფარგლებში უნდა ხორციელდებოდეს. ეს საშუალებას მისცემს ჩინეთს იაროს სტაბილიზაციის და იმ კურსის, ხაზისა და პოლიტიკის წარმატებული განხორციელ ე ბ ი ს გზით, რომლებიც შეიმუშავა 1978 წლის მეთერთმეტე მოწვევის ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმმა.

შეეხო რა პეკინში მომხდარ ამასწინანდელ ამბებს, ვან ლიმ თქვა, რომ დედაქალაქში აღდგენილია წესრიგი, ვითარება სავსებით სტაბილური გახდა. ახლა ქვეყნის წინაშე დგას ამოცანა გამოიტანოს გაკვეთილები მომხდარი ამბებიდან, კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდეს ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მტკიცედ და განუხრელად დაიცვას „ოთხი ძირითადი პრინციპი“.

ილაპარაკა რა მეცამეტე მოწვევის ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეოთხე პლენუმის შედეგებზე, ვან ლიმ აღნიშნა, რომ მის გადაწყვეტილებებს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩინეთის კომპარტიის პოლიტიკის მემკვიდრეობითობის თვალსაზრისით. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა კვლავაც განახორციელებს რეფორმის, გარე სამყაროსთან კავშირურთიერთობის გაფართოების პოლიტიკას, მტკიცედ ივლის სოციალისტური მშენებლობის გზით.

ტელეტაიპის ლენტიდან

● ლიმა. პერუს მთავრობამ გამოაცხადა, რომ 60 დღით აგრძელებს საგანგებო წესებს ქვეყნის აპურიმაკის, აიაკუჩოს, პასკოს, ხან-მარტინის, უანკაველიკის, უანუკოსა და ხუნინის დეპარტამენტებში. ეს გადაწყვეტილება დაკავშირებულია ექსტრემისტული ორგანიზაციების განუწყვეტელ ტერორისტულ საქმიანობასთან.

მთავრობის დეკრეტის შესაბამისად გაუქმებულია მთელი რიგი კონსტიტუციური გარანტიები.

● ლონდონი. შეერთებული სამეფოს სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის უკვე 6 ათასზე მეტმა მცხოვრებმა სურვილი გამოთქვა მონაწილეობა მიიღოს ბრიტანეთ-საბჭოთა კავშირის ისტორიაში პირველ ერთობლივ კოსმოსურ ექსპედიციაში, რომელსაც „ჯუნო“ ეწოდა. მომავალი ფრენის შესახებ, რომელიც 1991 წლის გაზაფხულისათვის არის დაგეგმილი, გამოაცხადეს ლონდონში 29 ივნისს გამართულ პრესკონფერენციაზე. განცხადებების მიღების უკანასკნელი ვადაა 14 იანვარი.

● აშშ

„ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის ტყვეობაში

ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი იცავს „სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივას“

ვაშინგტონი. ამერიკის ადმინისტრაციას საჭიროდ მიაჩნია „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ სისტემათა შემუშავება და განლაგება, როცა ისინი მზად იქნება“, განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა დენ კუეილმა ვაშინგტონში გამოსვლისას. „სტრატეგიული თავდაცვა, — აღნიშნა მან, — შესაძლებელია ტექნოლოგიურად, აუცილებელია მორალურად და სტრატეგიული თვალსაზრისით“. „დღეს, ისევე როგორც ორმოცი წლის წინათ, — განაცხადა კუეილმა, — ომისათვის მზადყოფნა მშვიდობის შენარჩუნების საუკეთესო გზაა“.

მან გამოთქვა რწმენა, რომ უახლოესი ხუთი წლის მანძილზე შეერთებული შტატები „შეძლებს დედამიწისირგვლივ ორბიტაზე გაიყვანოს სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის სისტემები“. მისი თქმით, ეს „დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება სტაბილურობის განმტკიცების გზაზე“, რადგან „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამა „სტრატეგიული შეიარაღების შესახებ შეთანხმების გარანტიაა“.

პირდაპირ საპირისპირო თვალსაზრისი გამოთქვა გაზეთ „ნიუსდეიში“ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა უილიამ კოლბიმ. „სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივას, — წერს იგი, — სულ უფრო მწვავედ აკრიტიკებენ, და ბრსებითად მისი მომხრეებიც კი აღიარებენ, რომ ეს პროგრამა ვერ უზრუნველყოფს თავისი ერის დაცვას“. გარდა ამისა, წერს კოლბი, „ვარსკვლავეთის ომები“ წარმოადგენს საფრთხეს“, რადგან ისინი „გვაიძულებს ახალ გამალებულ შეიარაღებას, და ბოლოს არ ეღირებენ ძველს“. ბუშის ადმინისტრაცია, სტატიის ავტორის აზრით, უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ კვლევითი სამუშაოებით სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის ფარგლებში.

მსგავს პოზიციას იცავს მრავალი ამერიკელი კანონმდებელიც. ამ დღეებში წარმომადგენელთა პალატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომიტეტმა მოითხოვა სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროგრამისათვის ასიგნებათა 1,1 მილიარდი დოლარით შემცირება.

● ანგოლა

დაარღვიეს მორიგება

ლუანდა. ანგოლაში უნიტას ბანდის მიერ განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმის შედეგად მოკვდა 5 კაცი. როგორც გაზეთი „ჟორნალ დი ანგოლა“ იუწყება, ტერორისტებმა საფარდან დაუშინეს ცეცხლი სამოქალაქო ავტომანქანას ჩრდილოეთ კვანზის პროვინციის ამბაკამაუას გზაზე.

გაზეთი წერს, რომ ეს კიდევ ერთი ძალზე უხეში დარღვევაა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღწეული მორიგებისა, რომელიც ძალაში შევიდა 24 ივნისს ანგოლის მთელ ტერიტორიაზე.

ფილიპინელი ჟურნალისტი ციხეშია ამგოსებულებთან

ვანილა. 1 ივლისს სალამის ამერიკის კლარკ-ფილდის საბჭო-დრო-საჰაერო ბაზიდან ორ კილომეტრზე მოხდა შეიარაღებული შეტაკება მთავრობის ჯარებსა და ამბოხებულთა რაზმებს შორის.

როგორც ქალაქ ანხელესში განუცხადა ჟურნალისტებს ფილიპინის სამხედრო სარდლობის წარმომადგენელმა, სროლის შედეგად, რომელიც ოთხ საათს გრძელდებოდა, მოკლეს ცხრა კაცი, მათ შორის რვა ამბოხებული. მთავრობის ჯარებისათვის ცეცხლით ბზარდაჭერას უზრუნველყოფდა ორი ჯავშანტრანსპორტიორი.

პრესისათვის გაკეთებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ შენობაში, რომელიც ჯარებმა იგდეს ხელთ, და სადაც თავს აფარებდნენ ამბოხებულები, აღმოჩენილია საბუთები, რომლებიც მოწმობენ, რომ მზადდებოდა დიდი ტეროროისტული აქცია ამერიკის სამხედრო მოსამსახურეთა წინააღმდეგ. მისი განხორციელება დაგეგმილი იყო 4 ივლისისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებ ლ ობ ა ს დღისათვის. ჯარისკაცებმა ხელთ იგდეს ამბოხებულთა იარაღი, ავრეთვე დიდძალი ასაფეთქებელი ნივთიერება, რომელიც გაკეთებული იყო ნაღმების დასამზადებლად.

● საბერძნეთი

მთავრობამ ფიცი დადო

ათენი. ფიცი დადო საბერძნეთის ახალმა მთავრობამ, რომელსაც მეთაურობს პარლამენტის დეპუტატი ახალი დემოკრატიული პარტიისაგან ძანის ძანეტაკისი.

18 ივნისს გამართული საპარლამენტო არჩევნების შედეგად ვერც ერთმა პარტიამ ვერ შეძლო ხმების აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვება და სხვა პარტიების დაუხმარებლად ერთპარტიული მთავრობის ჩამოყალიბება.

მიღწეული შეთანხმების თანახმად მთავრობა შეიქმნა სამი თვის ვადით. მისი მთავარი ამოცანაა იმ ფინანსურ-პოლიტიკური სკანდალის გამოძიება, რომელმაც ამ უკანასკნელ ხანს მთელი საბერძნეთი შეძრა. დათქმული ვადის ამოწურვის შემდეგ გაიმართება ახალი არჩევნები.

კაბინეტის მეთაური ძანეტაკისი ერთდროულად საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა.

კოლიციური ქრონიკა

ინციდენტი ჰანოვერში

ბონი. მძლავრმა აფეთქებამ შეაზანზარა ქალაქ ჰანოვერის გარეუბნის ცოფფრტენის საცხოვრებელი უბანი, სადაც დიდი ბრიტანეთის მოქალაქენი ცხოვრობენ. ამოქმედდა ასაფეთქებელი ნივთიერება, რომელიც, როგორც პოლიცია ვარაუდობს, ჩადებული იყო ერთ-ერთ ავტომანქანაში. აფეთქება მოხდა მომენტში, როცა მანქანის მფლობელს, ინგლისელ მოქალაქეს სურდა იგი დგომიდან დაეძრა. ავტომანქანის პატრონი დაიღუპა. იქვე მყოფი ორი ბავშვი დაიჭრა.

როგორც დპას სააგენტო იუწყება, პოლიციამ დაიწყო ინციდენტის გამოძიება. ავტომანქანის გვერდით დგომიდან ადგილმდებარეობის შემოწმების დროს აღმოჩინეს კიდევ ერთი სიეჟვო საგანი, რომელიც ასაფეთქებელ მოწყობილობას წაგავდა. ამის შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება ალყა შემოერტყათ უბნისათვის და ახლომდებარე სახლებიდან დროებით გაეხიზნთ მცხოვრებლები მახლობლად მდებარე სკოლაში.

კონტროლი — ნიშნავს დახმარებას

ახლა, როცა გარდაქმნას ახალი ფაზა დაუდგა, დემოკრატიზაციისა და საჯაროობისათვის ბრძოლამ კი მოიცვა პრაქტიკულად ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახალხო მეურნეობის, ყველა დონის სამმართველო სისტემის თითოეული სტრუქტურული რგოლის მაღალეფექტიან ფუნქციონირებას. ამასთან დაკავშირებით მკვეთრად იზრდება კონტროლის როლი. მან უნდა შეიძინოს სხვა თვისება და ხელი შეუწყოს გადანაწილის პროცესის დაჩქარებას. ახალი ამოცანები დგას, რა თქმა უნდა, სახალხო კონტროლის ორგანოების წინაშეც. მათი გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვნად უნდა გაფართოვდეს კონტროლიორთა საქმიანობის დიაპაზონი, მათი მუშაობა შეიცვალოს ახალი შინაარსით. მაღალი კომპეტენტურობის, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ფუნქციონირების სპეციფიკის ცოდნის გარეშე კი თავს ვერ გავართმევთ ესოდენ პასუხსაგებ ამოცანებს. სახალხო კონტროლიორთა პროფესიული ჩვევების სრულყოფას, მუშაობის მონინავე გამოცდილების განზოგადებასა და გავრცელებას უნყობს ხელს სოფელ ტაბახმელაში განლაგებული საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის სასწავლო-მეთოდიკური ცენტრი. გარდაქმნის, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პირობებში მისი ამოცანების შესახებ საქინფორმის კორესპონდენტს ესაუბრება რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ოთარ ღლონტი.

— პატივცემულო ოთარ, როდის შეიქმნა ტაბახმელაში სასწავლო-მეთოდიკური ცენტრი და რა არის მისი დანიშნულება?

— იგი მწყობრში ჩადგა დაახლოებით ორი წლის წინათ და თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს კანონით სსრ კავშირის სახალხო კონტროლის შესახებ, პარტიისა და მთავრობის შესაბამის გადაწყვეტილებებში ჩამოყალიბებული მოთხოვნებითა და რეკომენდაციებით. ცენტრის ძირითადი ამოცანებია მოაწყოს კომიტეტების მუშაკთა, სახალხო კონტროლიორთა, შტატგარეშე აქტივის სწავლება, მათი კვალიფიკაციისა და საკონტროლო საქმიანობის ამაღლება; შეკრიბოს და დაამუშაოს ინფორმაცია საკონტროლო მუშაობის საკითხებზე, დახმარება გაუწიოს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოებს მეთოდიკური მუშაობის გაუმჯობესებაში; შეისწავლოს, განაზოგადოს, გაავრცელოს კომიტეტების, ჯგუფების, საგუშაგოების მუშაობის დადებითი გამოცდილება, შეიმუშაოს რეკომენდაციები სტრუქტურის, მათი საქმიანობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის შესახებ. სხვათა შორის, ასეთი ცენტრი ქვეყანაში პირველად ჩვენთან შეიქმნა. მის ბაზაზე უნდა მოეწყოს რესპუბლიკური ზონალური და საკავშირო მასშტაბის ფართო წრის ღონისძიებანი.

— როგორც ჩანს, უკვე შეიძლება ვილაპარაკოთ ცენტრის საქმიანობის კონკრეტული უკუგების შესახებ?

— სსსწავლო-მეთოდიკურ ცენტრში ეწყობა კადრებისა და სტატგარეშე აქტივის სტაციონარული სწავლება. მისი ორსაბამის პერიოდში აქ ისწავლა სამი ათასზე მეტმა კაცმა, რომელთა შორის იყვნენ კომიტეტის თავმჯდომარეები, ინსპექტორები, შტატგარეშე განყოფილებათა, მეთოდკაბინეტების, საჯაროობისა და ინფორმაციის სექტორების გამგეები, იურიდიული ჯგუფების, საწარმოების, ორგანიზაციებიან, დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების სახალხო კონტროლის ჯგუფების ხელმძღვანელები. კადრების სწავლების გეგმიანი, მიზანმიმართული ხასიათი აქვს. ამისათვის კი აქ არის ყველა საჭირო პირობა — სასწავლო კაბინეტები, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე მოწყობილობით და ორგტექნიკით, ბიბლიოთეკა, კვების ბლოკი და 90-ადგილიანი საერთო საცხოვრებელი.

მთელ ამ საქმიანობას უშუალოდ წარმართავს ცენტრის მცირერიცხოვანი კოლექტივი, რომელიც, გარდა ტექნიკური პერსონალისა, მხოლოდ 6 შტატის მუშაკით განსაზღვრება. სსსწავლო-მეთოდიკურ მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ რესპუბლიკური კომიტეტის თანამშრომლები და სხვა მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც ვიწვევთ საზოგადოებრივ საწყისებზე. უკანასკნელ ხანს ძირითადი აქცენტი გადატანილია ეკონომიკურ სწავლებაზე, მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე სახალხო მეურნეობის გადასვლის პირობებში სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის კონკრეტულ საკითხებზე. გარდაქმნის კარდინალურ საკითხებზე მსმენელთა წინაშე გამოდიან რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები, მეცნიერები, სპეციალისტები. ფართოდ არის პრაქტიკაში დანერგული სწავლების ისეთი აქტიური ფორმები, როგორიცაა დიალოგი ინფორმაციის საუშალებათა მუშაკებს, რომლებიც რეგიონის ცხოვრებას აშუქებენ, ზუსტად და ობიექტურად გაიცნონ მოსახლეობას საქმის ფაქტობრივი მდგომარეობა. შეგახსენებთ, რომ ამბოხების დროს დაიღუპა ორი კაცი, როგორც უკვე ვიუწყებოდით, 27 ივნისს ქ. ბოლნისის გარეუბანში ნახეს ადგილობრივი მცხოვრების ა. აშარალიევის გვამი, რომელსაც მრავალი ნატყვიარი ეტყობოდა. მუშაობა ამ დანაშაულის გასახსნელად საგრძნობლად დაწინაურდა — უკვე ჩამორთმეულია იარაღი, რომლითაც უნდა იყოს ჩადენილი დანაშაული, დაკავებულია ეჭვმიტანილი, გამოძიება გრძელდება.

სულ მომხდარი ამბების დროს სხვადასხვა სიმძიმის ჭრილობის გამო სამედიცინო დაწესებულებებს მიმართა 40 კაცმა, რომელთა ნაწილი სამედიცინო დახმარების გაწევის შემდეგ ამბულატორიულ მკურნალობას გადის. დასრულებულ შემოწმებებს, ნებისმიერ ეჭვიანობას ან დაუსრულებელ შემოწმებებს, რომლებიც ფაქტობრივად ერთმანეთს იმეორებენ. სხვათა შორის, ამ საკითხს შეეხნენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზეც?

— ეს უძრაობის დროის მოვლენაა და მას გადაჭრით უნდა მოვუღოთ ბოლო. კონტროლი მუშაობას ხელს კი არ უნდა უშლიდეს, პირიქით, ხელს უნდა უწყობდეს ვიწრო ადგილების აღმოფხვრას, ეხმარებოდეს ხელმძღვანელებს არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციაში. ჩვენ ამ მიმართულებით ზოგიერთი რამ უკვე გავაკეთეთ. მთელ რიგ ორგანიზაციებში სამუშაო გამოცდა უკვე გიაარა სახალხო კონტროლის კომიტეტებისა და ჯგუფების ბაზაზე ერთიანი საკონტროლო ორგანოების შექმნის ექსპერიმენტმა. ამ ექსპერიმენტის ორგანიზაციული საკითხები წინასწარ დამუშავდა ჩვენს ცენტრში. აქვე გასული წლის დამდეგს გაიმართა ექსპერიმენტის პირობებში მომუშავე კომიტეტებისა და ჯგუფების თავმჯდომარეთა თათბირ-სემინარი. ერთი სიტყვით პირველი ნაბიჯები დამაიმედებელია.

— აქ, როგორც ჩანს, უნდა გაძლიერდეს მუშაობა ადგილებზე მეთოდიკური დახმარების გასაწევად...

— ამ საქმეში მთავარი საზრუნავი, ვფიქრობ, დაეკისრება სსსწავლო-მეთოდიკურ ცენტრს. მითუმეტეს, რომ ამ უკვე დაგროვილია ასეთი მუშაობის გარკვეული გამოცდილება. ყოველკვარტალურად გამოდის მეთოდიკური მასალების კრებულები, რომლებშიც განზოგადებულია ადგილებზე საკონტროლო საქმიანობის შეძენილი დადებითი გამოცდილება. ცენტრი უშუალოდ ხელმძღვანელობს მეთოდიკური კაბინეტების მუშაობას, უზრუნველყოფს მათ სპეციალური ლიტერატურით.

— როგორ წარმოიდგენიათ სახალხო კონტროლის ორგანოების სისტემის პერსპექტივა მომავალ გარდაქმნებთან დაკავშირებით?

— მუშაობა მხოლოდ ახლა იწყება, ამიტომ ძნელია დეტალურად წარმოიდგინო ყველა ცვლილება, რომლებიც მოხდება საერთოდ კონტროლის სისტემაში. ჩვენ ზშირად ვაყენებთ შესაბამის წინადადებებს, რომლებიც იხილება საკავშირო სახალხო კონტროლის კომიტეტის დონეზე. ერთი რამ უდავოა: სახალხო კონტროლის ორგანოები უნდა ახორციელებდნენ პრაქტიკულად ყველა საკონტროლო ორგანიზაციის საქმიანობის კოორდინაციას. ამასთან დაკავშირებით ჩვენს ცენტრში იქმნება სპეციალური ქვედანაყოფი, რომელიც იმუშავებს ელექტრონულ გამომთვლელი მანქანების ფართო გამოყენებით.

— ალბათ, დემოკრატიზაციასა და საჯაროობას გვერდი არ აუვლია სახალხო კონტროლის ორგანოებისთვისაც?

— როცა კონტროლის ქმედითობაზე ვლაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი სწორედ რომ საჯაროობაა, უამისოდ ყოველგვარი დარღვევისა და ბოროტმოქმედების წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლის იმედი არ უნდა ვიქონიოთ. ამიტომ კომიტეტების უმრავლესობის მუშაობის პრაქტიკაში დამკვიდრდა კონტროლის საჯაროობის ახალი ფორმები. სახალხო კონტროლის პრაქტიკულად ყველა კომიტეტი რეგულარულად აქვეყნებს მუშაობის ეგეგმებს ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე. სულ უფრო ფართო ხასიათს იძენს შრომითს კოლექტივებში შემოწმებათა შედეგების განხილვა.

საკონტროლო საქმიანობის საჯაროობის შემდგომ გაფართოებას შეუწყო ხელი შარშან მოწყობილმა კონტროლის საჯაროობისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების საშუალებათა დათვალიერებამ. სახალხო კონტროლიორები აქტიურად მოქმედებენ გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის რედაქციებთან. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კონტროლის პრიორიტეტული მიმართულებებით შემოწმების მასალების გაშუქებას. რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის მასალების მიხედვით შეიქმნა მოკლემეტრაჟიანი ფილმები. სხვათა შორის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან კავშირი ხორციელდება ჩვენი ცენტრის მეშვეობით. ამ ურთიერთმოქმედებით ყოველთვიურად ეთერში გადის სპეციალური სატელევიზიო ჟურნალი „სახალხო კონტროლის ეკრანი“. შემოწმების მასალები ქვეყნდება აგრეთვე საინფორმაციო პროგრამა „მოამბეში“.

ნათქვამი, ცხადია, როდი ნიშნავს, რომ ჩვენ უკვე ამოვწურეთ და მთლიანად ავამოქმედეთ სსსწავლო-მეთოდიკური ცენტრის ყველა შესაძლებლობა. პირიქით, ხალხის მასების გააქტიურების ახლანდელ პირობებში გაჩნდა რეალური წინამძღვრები, რათა განვახორციელოთ ნამდვილი სახალხო კონტროლი, და აქ მთლიანად შეიძლება გამოვიყენოთ ჩვენი ცენტრის რეზერვები.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება

ოპერატიული ვითარება მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის რაიონებში თანდათან კალაპოტში დგება. განვლილი დღე-ღამის მანძილზე აქ არ აღრიცხულა დანაშაულობანი და სამართალდარღვევები.

წინა ცნობებში რეგიონში შექმნილი ვითარების შესახებ მკითხველებს შევატყობინეთ, რომ მოხდა მთელი რიგი დანაშაულობანი და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევები. ზოგიერთი მათგანი გახსნილია, სხვათა გამო გრძელდება გამოძიება. აღძრულია 17 სისხლის სამართლის საქმე, შინაგან საქმეთა ორგანოებში მიღებულია 100-მდე მოქალაქე, მათგან 5 დაპატიმრებულია, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა 9 კაცი.

ა. წ. 2 ივლისს დმანისის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების თანამშრომლებმა დაიკავეს ს. ჯ. ამიროვი, 1969 წელს დაბადებული, ბოლნისის „აგრომრეწვტრანსის“ მძღოლი, დმანისის რაიონის სოფელ ბეზაკლოს მცხოვრები, რომელმაც ა. წ. 27 ივნისს დაჯახა მისთვის მიჩენილი სატვირთო ავტომანქანა დმანისის შინაგან საქმეთა რაგანყოფილების ავტოინსპექციის უფროსს, რაც გაცნობეთ ა. წ. 30 ივნისის ინფორმაციით.

იმის გამო, რომ ბშირია სახელმწიფო ავტოტრანსპორტის მარილაწინააღმდეგო მოქმედების მიზნით გამოყენების ფაქტები, შინაგან საქმეთა ორგანოები სახალხო კონტროლიორებთან და საზოგადოებრიობასთან ერთად აწყობენ ავტოსატრანსპორტო საწარმოების დეტალურ პროფილაქტიკურ გამოკვლევას, წესრიგის დასაყარებლად და ავტომანქანების მუშაობის მოსაგვარებლად, ზუსტად გრაფიკებისა და მარშრუტების შესაბამისად მათი მოძრაობისათვის კონტროლის გასაწევად.

დაბეჭითებით ვთხოვთ მახობრიეი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკებს, რომლებიც რეგიონის ამბებს აშუქებენ, ზუსტად და ობიექტურად გაიცნონ მოსახლეობას საქმის ფაქტობრივი მდგომარეობა

ახალი წიგნები

ინგილოური ლექსიკონი

ჯერ კიდევ ქართული დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების გარიჟრაჟზე, 1876 წელს, ცნობილმა მეცნიერმა და გულმხურვალე მამულიშვილმა მოსე ჯანაშვილმა თავის წიგნს „ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი“ დამატებით სახით დაურთო ინგილოური ლექსიკური მასალა, რომელსაც საგულისხმო სათაური აქვს: „კაკ-ელისენში შეკრებილი სიტყვები, რომელთაგან ზოგი აღარ მოიპოვება ქართულს ლექსიკონში და ზოგი გადასხვაფერებით იხმარება“. ეს ლექსიკონი 800-მდე სიტყვის განმარტებას შეიცავს.

მოსე ჯანაშვილი თვითონ ინგილო იყო და ძირფესვიანად იცნობდა თავისი მშობლიური კუთხის მეტყველებას, ისტორიას და ეთნოგრაფიულ ყოფას. ამის საუკეთესო საბუთია მისი გამოკვლევა „სანინგილო“, დაბეჭდილი ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით გამოცემულ „ძველი საქართველოს“ II ტომში (1911-1913 წ.წ.). აქ პირველად არის წარმოდგენილი ინგილოური კილოს დახასიათება და ტექსტები, რომელთაც

ინგილოური კილოს ლექსიკონი“, შედგენილი რ. ღამბაშიძის მიერ. ეს არის მრავალი წლის დაუღალავი შრომის შედეგად შექმნილი მართლაც ვრცელი და მრავალმხრივ საყურადღებო ლექსიკონი.

ინგილოური, როგორც ცნობილია, ორი კილოკავისაგან შედგება: კაკურისა და ალიბადურისაგან. რ. ღამბაშიძის ლექსიკონი მხოლოდ კაკური კილოკავის მასალას მოიცავს. მასში შედის 7000-მდე სალექსიკონო ერთეული, მაგრამ სინამდვილეში ლექსიკონში მოთავსებულ სიტყვათა რაოდენობა კიდევ უფრო დიდია, რადგან, როგორც წინასიტყვაობაში არის აღნიშნული, „ნაწარმოები ანუ წარმოქმნილი სახელები და მიმღეობები ჩვეულებრივ ცალკე სალექსიკონო ერთეულებს არ ქმნიან. პირველნი თავს იყრიან სახელების ბუდეში, მეორენი კი — საწყისთა ბუდეში“.

ეს ლექსიკონი თავისი მოცულობით საგრძნობლად სჭარბობს ნ. როსტიაშვილის ლექსიკონს, რომელშიც ორივე კილოკავის 5400-მდე

ალბათ, სხვა დიალექტური ლექსიკონების შედგენლებიც გამოიყენებენ.

ლექსიკონი იმითაც იმსახურებს მოწონებას, რომ მასში ნაჩვენებია ინგილოურის მიმართება სხვა დიალექტებთან, ასევე — ძველ ქართულთან. ამ მიზნით სიტყვასტატიის ბოლოს მოცემულია პარალელები სხვადასხვა ლექსიკონიდან. აქვე მითითებულია უცხო ენის გარემოშიც მოქცეული სიტყვების ადგილი. მასში შედის 7000-მდე სალექსიკონო ერთეული, მაგრამ სინამდვილეში ლექსიკონში მოთავსებულ სიტყვათა რაოდენობა კიდევ უფრო დიდია, რადგან, როგორც წინასიტყვაობაში არის აღნიშნული, „ნაწარმოები ანუ წარმოქმნილი სახელები და მიმღეობები ჩვეულებრივ ცალკე სალექსიკონო ერთეულებს არ ქმნიან. პირველნი თავს იყრიან სახელების ბუდეში, მეორენი კი — საწყისთა ბუდეში“.

ეს ლექსიკონი თავისი მოცულობით საგრძნობლად სჭარბობს ნ. როსტიაშვილის ლექსიკონს, რომელშიც ორივე კილოკავის 5400-მდე სალექსიკონო ერთეული შედის (რ. ღამბაშიძის ლექსიკონზე 1600 ერთეული ნაკლები). მაგრამ თავის მხრივ ნ. როსტიაშვილის ლექსიკონშიც საკმაოდ გვხვდება ისეთი მასალა, რომელიც რ. ღამბაშიძის ლექსიკონში არ ასახულა. ასე რომ, ეს ორი ლექსიკონი არსებითად ერთმანეთს ავსებს და ორივე ერთად უკვე მართლაც თითქმის სრულ წარმოდგენას იძლევა ინგილოურ ლექსიკაზე.

წიგნის რედაქტორი აწგანსვენებული აკადემიკოსი აკაკი შანიძე თავის წინასიტყვაობაში წერს: „ინგილოური კილო ერთი იმ ქართულკილოთაგანია, რომელიც უცხო ენის გარემოშია მოქცეული და სხვა ქართული კილოთაგან მოწყვეტის გამო, ისეთი ცვლილებანი განიცადა საუკუნეების განმავლობაში, რომ მეტად დაშორდა სალიტერატურო ქართულსა და სხვა აღმოსავლურ ცოცხალ კილოებს. მართალია, ფერეიდნული ქართული კილოც (სპარსეთში) უცხო ენის გარემოშია მოქცეული სამ-ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მაგრამ, აბა, რა შედარებაა ინგილოურთან!“.

საილუსტრაციო მასალის სიუხვე ინგილოური ლექსიკონის დიდ ღირსებას წარმოადგენს. რაც შეეხება ამ მასალის გაგების გაადვილებას, ამ მიზნით ხშირად იქვე ფრჩხილებში მოთავსებულია თარგმანი, რომელიც ზოგჯერ მთელ ფრაზას ახლავს, ზოგჯერ — ფრაზის გარკვეულ მონაკვეთს, ზოგჯერ კი — ცალკე სიტყვას ამისადმი. ეს მეტად მნიშვნელოვანი და მოსაწონი სიახლეა ქართულ ლექსიკოგრაფიაში, რასაც მომავალში,

ლამაზია ჭითუერა, განსაკუთრებით მომხიბვლელია ყვირილას ხეობა.

მაღაროელთა ქალაქის ცხოვრება სავსეა მზით, ფერთა საოცარი გამით, მუსიკითა და ლიტერატურული ცხოვრებით... სწორედ აქ, ჭითუერა-სარჩერის მაღლიან მიწაზე დაფრთიანდა ქართული ლიტერატურის არაერთი სახელოვანი წარმომადგენელი.

ჭითუერის ლიტერატურულ ცხოვრებას კარგა ხნის ისტორია აქვს. ჩვენი საუკუნის ორმოცდაათიან წლებში შეიქმნა ლიტერატურული გაერთიანება, რომელშიც შევიდნენ მუშები, პედაგოგები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, ახალგაზრდები. ამ ხნის მანძილზე ლიტერატურულმა გაერთიანებამ არაერთი პოეტური კრებული მიაწოდა მკითხველს, მაგალითად: „საშევარდნო“, „მგზავრული“, „ციცინათელები“, „სიმღერა ასი წლის ქალაქზე“...

გაერთიანებას ამჟამად სათავეში უდგას პოეტი ეთერ ჯიშკარიანი. ჩვენში პოპულარულია ამ პოეტის ლექსებზე კომპოზიტორების ა. ჩიმაკაძის, შ. მილორავის, შ. ჩირინაშვილის, გ. ბზვანელის, ვ. აზარაშვილის და სხვათა მიერ შექმნილი სიმღერები: „ჩიორა ტირის“, „კარგი ხარ, გოგოვ, კარგი ხარ“, „პაწაწინა ყვავილები“, „წყاროსთან“, „სამშობლო“, „იდ-ღეგრძელე მამულო“, „სიმღერა ჭითუერაზე“.

ეთერ ჯიშკარიანის წიგნები „ცისფერი ტალღა“, „კენჭობანა“, „ლექსები“, „ციცინათელები“, „ჩემი მზითევი“, „გაცოცხლებული ფრესკები“ მკითხველთა ინტერესს იწვევს.

ყურადსაღებია გაერთიანების ერთ-ერთი ძველი წევრის თენგიზ გურჯაძის შემოქმედება. იგი სისტემატიურად თანამშრომლობს ეურნალ-გაზეთებში. ავტორია კრებულებისა „საშევარდნო“, „მგზავრული“, „მოდი ნახე“, მისი ლექსების თემატიკაა ძირითადად მშობლიური კუთხის, ზემო იმერეთის წარსული და აწმყო. აქვს პოემები, მოთხრობები და საბავშვო ნაწარმოებებიც.

ჭითუერა-სარჩერის ლიტერატურულ გაერთიანებაში ამჟამად 55 წევრია. რამდენიმე წიგნის ავტორები არიან ა. ხუციშვილი, ბ. მუმლაძე, ი. ცარციძე, ბ. ხვედელიძე, ზ. ციკოლია-ტაბატაძე, ო. ცარციძე და სხვები.

გაერთიანების წევრები ხშირად

ქართული პოეზიის სულის ნაწილი

აწყობენ შეხვედრებს ცნობილ ქართველ მწერლებთან, პოეტებთან, ეცნობიან საქართველოს ღირსშესანიშნავ ადგილებს.

წელს ლიტერატურულ გაერთიანებას 30 წელი უსრულდება. ამ თარიღისათვის აქ საგანგებოდ ემზადებიან.

გაერთიანებას დიდად ეხმარებიან ჭითუერის პარტიის საქალაქო და სარჩერის პარტიის რაიონული კომიტეტები, საწარმოო გაერთიანება „ჭითუერმანგანუმის“ სამმართველო, მეტალურგთა პროფკავშირების კულტურის სასახლე, ორივე რეგიონის კულტურის განყოფილებანი. შემოქმედებით შთაგონებულ წლებს უკვალოდ არ ჩაუვლია. გაერთიანებამ რესპუბლიკის ლიტერატურულ ცხოვრებაში საკუთარი ადგილი დაიკავა — იგი ქართული პოეზიის სულის ნაწილია.

ბ. შარიძაძე,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

ისვენებენ

სოფლის მშრომელები

ქალაქი-კურორტი ბორჯომი. აქ ყოველწლიურად ათასობით დასვენებელი ჩამოდის ქვეყნის ყველა კუთხიდან და საზღვარგარეთიდან. მათ იზიდავთ მთის სუფთა მაერი, უნიკალური მინერალური წყალი.

წლეულს სტუმრების მისაღებად ყველაზე უკეთ მოემზადა რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნეობრთელობის“ სანატორიუმ „ბორჯომის“ კოლექტივი. არსებობის ორი წლის მანძილზე ჯანმრთელობის კერა მოემსახურა სოფლის 10 ათასზე მეტ მშრომელს.

სანატორიუმ „ბორჯომში“ დასვენებისა და ეფექტიანი მკურნალობის ყველა პირობაა შექმნილი. ავადმყოფთა განკარგულებაშია სამკურნალო კაბინეტები, ლაბორატორიები, საცურაო აუზი.

ხალხმრავლობაა სპორტულ მოედნებზეც. მკურნალობის კომპლექსში განსაკუთრებული როლი ეთმობა ფიზკულტურას.

მაღალ პროფესიულ დონეზე ასრულებს თავის მოვალეობას კვალიფიციურ ექიმთა კოლექტივი.

სურათებზე: სანატორიუმი „ბორჯომი“; სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტში.

საქინფორმის ფოტო.

ზურაბ გელეყვა

ეროვნული ბელადი

ეროვნული ბელადი ზურაბ გელეყვა ... ეროვნული ... ...